ახალი განათლება

21-27.11.2019

№36 (870) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

4

ლალი ჯელაძე

ფასადური რეალობის მიღმა

✓ჩვენი შვილების ხარჯზე მიღებულმა ვიზალიბერალიზაციამ სასიკეთო ჩვენს შვილებს არაფერი მოუტანა.

✓დიაგნოზის მერე შენი ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა – ხედავ ადამიანებს, რომლებიც უფრო მარტივ ცხოვრებას გადიან და ხედავ ცალკე ბანაკად ქცეულ საკუთარ ცხოვრებას, რომელიც ამ მარტივ გზას ძალიან დაშორებულია. მერე თვითონ ცხოვრება გხდის იძულებულს, თემა საჯაროდ გამოიტანო და პრობლემაზე ისაუბრო.

თამარ იარაჯელი

3

ლალი თვალაბეიშვილი

სახიფათო კონტრაფაქციები და დარღვეული ინტელექტუალური საკუთრების უფლება

8

მაკა ყიფიანი

ჟანდარმერია კავკასიაში
გამოფენა ეროვნულ არქივში

ახალი ამბები

ერთწლიანი პაუზის შემდეგ მიხეილ ჩხენკელი განათლების მინისტრად დაბრუნდა

მიხეილ ჩხენკელის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრად დანიშვნის ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ ხელი 13 ნოემბერს მოაწერა და მთავრობის სხდომაზე პირველი განმარტებაც გააკეთა: *„მან ზედმიწევნით იცის, ბოლო წლების განმავლობაში, რა ხდებოდა განათლების სამინისტროში, როგორ ხდებოდა რეფორმის მომზადება და განხორციელება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის და ამ და მის სხვა ღირსებებთან ერთად მინისტრი შეძლებს, სწრაფად, დროის დაუკარგავად განაგრძოს ის რეფორმები, რომელიც დღეს მიმდინარეობს განათლების სისტემაში, ძალიან წარმატებულად.“*

მთავრობის სხდომაზე მიხეილ ჩხენკელმა პრემიერისგან პირველი დავალებაც მიიღო: *„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო და დავავალო ბატონ მიხეილს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროფესიულ განათლებას. პროფესიული განათლება დღეს ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რათა შევძლოთ, უახლოესი წლების განმავლობაში, აღმოვფხვრათ ის დისბალანსი, რომელიც გვაქვს შრომის ბაზარზე. მინდა, ვთხოვო, ამას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს“.*

ახლად დანიშნულმა მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა** აღნიშნა, რომ იგი, როგორც პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, ძალიან აქტიურად იყო ჩართული როგორც განათლების კომპლექსური რეფორმის შექმნაში, ასევე დაგეგმვასა და განხორციელებაში. შესაბამისად, განათლების რეფორმა უფრო სწრაფად და ეფექტურად გაგრძელდება.

„ეს რეფორმა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი განათლების სისტემისთვის. ყურადღება მიექცევა აბსოლუტურად ყველა მიმართულებას. ერთ საკითხს განსაკუთრებით გამოვყოფდი: ეს გახლავთ პედაგოგებისა და სკოლების ადმინისტრაციული პერსონალისათვის ხელფასების მატება. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია და რასაკვირველია, ანაზღაურების ზრდა გაგრძელდება. აქვე მინდა განსაკუთრებული ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იგივე უნდა მოხდეს უნივერსიტეტების პროფესორებისთვის, ჩვენი მეცნიერებისთვის და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებისთვის. ეს აუცილებლად გაკეთდება. სკოლების მიმართულებით, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლების ავტონომიის ზრდას და, ამ მხრივაც, იქნება სერიოზული ნაბიჯები გადადგმული.

მოგეხსენებათ, პროფესიული განათლება გახლავთ უაღრესად სტრატეგიული მიმართულება, რადგანაც პირდაპირაა დაკავშირებული დასაქმებასთან. შესაბამისად, ახალი იდეები და ახალი მიმართულებები იქნება განსაზღვრული იმისთვის, რომ გაიზარდოს მისი პოპულარიზაცია საზოგადოებაში.

უმაღლესი განათლება და მეცნიერება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რეფორმებს ამ მიმართულებით. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო ორი მეგაპროექტი, რომელიც ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარეობს, ეს არის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც გახლავთ ჭეშმარიტად ევროპული უნივერსიტეტი. ძალიან სასიხარულო ფაქტია, რომ 2020 წლის სექტემბერში ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს მიიღებს და იქ ახალი აკადემიური ცხოვრება დაიწყება. მეორე მეგაპროექტი გახლავთ ქუთაისის ადრონული თერაპიის ცენტრი, რომელიც ამავე უნივერსიტეტში იფუნქციონირებს. აღნიშნულ ცენტრში უმკურნალებენ სიმსივნით დაავადებულებს და ასევე, წარიმართება ძალიან სერიოზული სამეცნიერო კვლევითი პროცესი მედიცინის, სამედიცინო ფიზიკის და ბირთვული ფიზიკის მიმართულებით“ – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

მინისტრმა განათლებისა და კულტურის სამინისტროების გაყოფასთან დაკავშირებითაც გამოხატა საკუთარი პოზიცია: *„გუნდში მსჯელობა მიმდინარეობს, შემიძლია ჩემი პოზიცია გითხრათ, რომ კულტურის სამინისტრო უნდა არსებობდეს ცალკე. როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, გეცნობებათ. რასაკვირველია, ეს სფეროები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მაგრამ გამოყოფის შემდეგაც, მინდა დაგარწმუნოთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კულტურის მიმართულებასთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობას შეინარჩუნებს. უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია სკოლებისთვის მასობრივი სპორტი. ასევე, მინდა აღვნიშნო საუნივერსიტეტო სპორტის განსაკუთრებული მნიშვნელობა, შესაბამისად, სპორტის ჩართულობა განათლების სისტემაში და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ძალიან მნიშველოვანია და აქ საჭიროა ლოგიკური ბმა სისტემებს შორის. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, კულტურის სამინისტრო უნდა არსებობდეს ცალკე,“* – განაცხადა მინისტრმა.

მიხეილ ჩხენკელის დაბრუნებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ექსპერტთა ნაწილმა დადებით მოვლენად მიიჩნია ის, რომ ახალი მინისტრის დანიშვნას არ მოჰყვა ძველი გუნდის გაშვება, რამაც იმედი გააჩინა, რომ რეფორმის ფარგლებში დაწყებული საქმიანობა არ გაჩერდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ცვლილება მაინც განხორციელდა – თანამდებობა დატოვა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ვაშაკიძემ.

„მეგობრებო, განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროში ჩემი მოღვაწეობა დასრულდა. ეს მოღვაწეობა იყო ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო. დამაკლდება ჩემი საქმე, რომელსაც პირნათლად და კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი. ასევე დამაკლდებიან ჩემი კოლეგები და თანამშრომლები, რომლებთან ერთად ბევრი შევძელი და კიდევ უფრო მეტს შევძლებდი. მინდა, წარმატებები ვუსურვო მათ. არა მგონია, იმაზე დიდი პატივი არსებობდეს ამქვეყნად, რომ ემსახურო მოსწავლეების, სტუდენტების, მასწავლებლების და მეცნიერების საჭიროებებს და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდე. მჯერა, რომ საქართველოს მომავალი განათლებაშია და ისიც მჯერა, რომ ეს მომავალი ნათელია. წარმატებები!!!“ – თავის ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებული ამ პოსტით გამოემშვიდობა გიორგი ვაშაკიძე განათლების სისტემას.

გაგრძელდება თუ არა საკადრო ცვლილებები, ამას დრო გვიჩვენებს და იმასაც მალე დავინახავთ, რა მისია დაეკისრება განათლების მინისტრად მეორედ მობრუნებულ მიხეილ ჩხენკელს.

ჯერჯერობით კი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის რანგში, პირველ სამუშაო დღეს, მიხეილ ჩხენკელი სამინისტროს თანამშრომლებს შეხვდა და სამომავლო გეგმები გააცნო.

მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტებად განათლება და მეცნიერება დაასახელა და ამიტომაც, განათლების კომპლექსური რეფორმის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელება დააანონსა. შეხვედრის დროს მიხეილ ჩხენკელმა კულტურისა და სპორტის მნიშვნელობის შესახებაც ისაუბრა: *„საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც მსოფლიო იცნობს მეცნიერებით, კულტურითა და სპორტით. სპორტი პირდაპირ არის დაკავშირებული ახალგაზრდობის საკითხებთან. მასობრივი სპორტი უაღრესად მნიშვნელოვანია სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის. შესაბამისად, სპორტის ჩართულობა განათლების სისტემაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ჩვენთვის პრიორიტეტია. რაც შეეხება კულტურას – საქართველოსთვის ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგია და, შესაბამისად, ჩემი პოზიციაა, რომ კულტურის სამინისტრო არსებობდეს ცალკე. ამ საკითხთან დაკავშირებით გუნდში კონსულტაციები მიმდინარეობს.“*

თანამშრომლებთან შეხვედრაზე მიხეილ ჩხენკელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის სასიხარულოა პროფესიონალ გუნდთან მუშაობა და სურვილი გამოთქვა, რომ სამუშაო პროცესში იყოს ნაკლები ბიუროკრატია, მეტი შემოქმედებითობა და გუნდურობა.

„ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ



მწერალთა სახლში გაიმართა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამოფენა და დაჯილდოების საზეიმო ცერემონია.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, **ზვიად გაბისონიამ** ფონდის ყველაზე პოპულარული ტრადიციული კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა, ასევე მოსწავლეებს შორის მეცნიერების პოპულარიზაციაზე. გამოვლინდნენ გრან-პრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები. საუკეთესო პროექტის და გამოგონების ავტორები სპეციალური პრიზებითა და ჯილდოებით დაჯილდოვდნენ: გრან-პრის მფლობელი უცხოეთში გაემგზავრება შემეცნებითი ტურით, პირველ ადგილზე გასული გუნდი კი, ფულად პრიზთან ერთად, თიბისი ბანკისგან, ერთწლიანი სტიპენდიით დაჯილდოვდა.

- გრან-პრის მფლობელები გახდნენ სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-GESS“-ის მოსწავლეები – **როსტომ ნიორაძე** და **ქეთა აფციაური**, პროექტით – „თეთრი დათვი – შუქგამტარული მოქნილი მასივი სტატიკური მზის პანელის გაიდის როლში და პელტიეს ელემენტების გამოყენება ფუჭი სითბური ნაკადის უტილიზაციისათვის“;
- პირველი ადგილი – სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-GESS“-ის მოსწავლეები: **მარიამ მაღრაძე**, **თეონა კონტრიძე**, **თეკლა ლეჟავა**;
- მეორე ადგილი – ამავე სკოლის მოსწავლეები: **ლიზი ტურაშვილი**, **მარიამ მიქაძე** და **ავთანდილ გუჯაბიძე**;
- მესამე ადგილის მფლობელები კი, გახდნენ: სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-GESS“-ის, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის, თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები – **გეგა შავდათუაშვილი**, **მარიამ ნინუა** და **ბაია გრძელიშვილი**.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების თემატიკა მრავალფეროვანი იყო, ისეთ საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა მოსავლის მოყვანა მარსზე, ენერგიის განახლებული და ეკონომიური წყაროები და ა.შ. აღსანიშნავია სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-GESS“-ის მოსწავლეების წარმატება – ისინი გრან-პრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ.

პირველი ადგილის მფლობელი **მარიამ მაღრაძე** ამბობს, რომ პროექტზე მუშაობის პროცესი ძალიან შრომატევადი იყო, ღამეებსაც კი ათენებდნენ, რომ სასურველი შედეგისთვის მიეღწიათ. *„პლატინა ყველაზე ძვირი მეტალია და ყველაზე კარგი კატალიზატორი, ის უფრო იაფიანი გზით შევანაცვლეთ – დავყავით მისი თვისობრივი ფუნქციები და სხვადასხვა კატალიზატორები ავიღეთ იმისთვის, რომ უფრო იაფი და ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის.“*

ალექსანდრე მაყაშვილი, პასუხისმგებლიანი ბიზნესის მენეჯერი, თიბისი ბანკი: *„ნებისმიერ საქმეში ბავშვების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ისინი ახლა იწყებენ ამ გზაზე სიარულს და თავიდანვე რომ არ გაუქრეთ ის ენთუზიაზმი, რომელიც მოჭარბებული აქვთ. თიბისი ბანკისთვის ინოვაციურობა უმნიშვნელოვანესია, იმიტომ, რომ ჩვენი ბიზნესმოდელიც ინოვაციაზე დგას და ერთ-ერთი ინოვაციური მიმართულება სწორედ მაღალტექნოლოგიური სერვისების განვითარებაა. გარდა იმისა, რომ პირველი ადგილის მფლობელს ერთწლიანი სტიპენდიით ვაჯილდოებთ, ამ კონკურსის მონაწილეთა ნაწილს ჩავრთავთ სხვადასხვა აქტივობებში. უკვე შემდგომ, ვნახოთ როგორ გაგრძელდება მათი განვითარება და თუ მოისურვებენ ბიზნესში მუშაობას, სიამოვნებით დავთანხმდებით.“*

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი მოსწავლე-გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი“ ყოველწლიურად ატარებს.

სახელმძღვანელოები

სახიფათო კონტრაფაქციები და დარღვეული ინტელექტუალური საკუთრების უფლება

ლალი თვალაბეიშვილი

წიგნის ქართულ ბაზარზე, წლების განმავლობაში, მეტ-ნაკლები სიხშირით, იყიდებოდა ფალსიფიცირებული მხატვრული ლიტერატურა და სასკოლო სახელმძღვანელოები. დღეს „შავმა ბაზარმა“ გამორჩეულად მასშტაბური სახე მიიღო, კონტრაფაქციური პროდუქციის მომრავლება სერიოზულ პრობლემებს უქმნის გამომცემლობებს.

ასევე წლების განმავლობაში მიდიოდა მსჯელობა კონტრაფაქციული გამოცემების ბეჭდვისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების შემუშავებაზე, რადგან ყველა თანხმდება, რომ კონტრაფაქციული პროდუქციის ბეჭდვა და გაყიდვა არღვევს ავტორისა და გამომცემლის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, იმავდროულად, ზიანს აყენებს მომხმარებლის (მათ შორის ბავშვების) ჯანმრთელობას. როგორც ჩანს, ეფექტური სტრატეგიების შემუშავება ვერ მოხერხდა, რადგან ეს პრობლემა, დღეს, უფრო მეტი სიმწვავით დგას. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ გაყალბებული წიგნებით არა მარტო ბაზრობებზე, არამედ წიგნის მაღაზიებშიც ვაჭრობენ. ამ ფონზე, ლოგიკური იქნებოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გაზიარება, რა თქმა უნდა, შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან პრობლემის მოგვარების სურვილის არსებობის შემთხვევაში.

გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი, **თამარ ლებანიძე** ამბობს, რომ ეს ძალიან დიდი პრობლემაა და შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ისტორიულიც კი. *„მხატვრული ლიტერატურის (საბავშვოც და დიდების) მასობრივად გაყალბების პირველი შემთხვევა ჩვენ უკვე ამ საუკუნის დასაწყისში გვქონდა, მაგრამ ყველაზე მასშტაბური დარტყმა იყო 2007 წელს, როდესაც ჩვენი ერთ-ერთი სახელმძღვანელო გააყალბეს, მაშინ, დაახლოებით, 50 000 ლარის ზარალი ვნახეთ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შევისყიდეთ არალეგალურად გამოცემული ეგ ზემპლარები, მერე ფორმალური სასამართლო პროცესიც გაიმართა, ძალიან კომიკური და მოსამართლემ, ერთი მხრივ, დაადგინა, რომ ეს წიგნები უნდა გაგვენადგურებინა, მეორე მხრივ კი, რადგან დამნაშავე ვერ მოიძებნა, საქმე დახურა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენად კანონიერი იყო მისი გადაწყვეტილება, რადგან იმ მომენტში ჩვენ ადვოკატი არ გვყოლია, მაგრამ უსამართლო რომ იყო, ეს ფაქტია. რა თქმა უნდა, მოსამართლე-გამომძიებელი გარიგებული იყვნენ იმ სტამბებთან და დისტრიბუტორებთან, რომლებიც აწარმოებდნენ და ყიდდნენ ე.წ. „ლევი“ წიგნებს. ამის შემდეგ, პრობლემამ, რა თქმა უნდა, იმატა და შეიძლება ითქვას, რომ მასშტაბური სახე მიიღო. რამდენჯერმე ვცადეთ, უკვე იურისტების დახმარებით, სახელმწიფო ორგანოების ყურადღება მიგვექცია ამ პრობლემაზე, ფინანსურ პოლიციასაც დავუკავშირდით, მაგრამ, კვლავ და კვლავ, ამან შედეგი არ გამოიღო. პირიქით, პარადოქსია, მაგრამ ჩვენ ვხდებოდით ბითუმად მოვაჭრეებისა და მესტამბეების მხრიდან თავხედური დამოკიდებულებისა და აგრესიის მსხვერპლი, აბსოლუტური დაუსჯელობის სინდრომი. არაერთხელ ვიწვნიეთ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება.“*

თამარ ლებანიძე ამბობს, რომ ხელიც კი ჩაიქნიეს და, წლების განმავლობაში, აღარ აქტიურობდნენ. თუმცა, მისი აზრით, შავი ბაზრის დარეგულირება შესაძლებელია. მაგალითად თურქეთი მოჰყავს, სადაც იგივე პრობლემა იდგა, მაგრამ რამდენიმე ეფექტური მექანიზმი აამუშავეს და პრობლემაც მოაგვარეს. სათანადო სტრუქტურებს სთავაზობდნენ კიდეც ამ მექანიზმების განხილვას, იქნებ მათი გამოცდილება საქართველოსთვისაც მისაღები ყოფილიყო, მაგრამ უშედეგოდ.

„მერწმუნეთ, ვერც ერთი ჩვენი უცხოელი კოლეგა ვერ იგებს საერთოდ რაზეა ლაპარაკი. ერთი მხრივ, ფრანკფურტში ჩავედით და ევროპას „თვალი დავუყენეთ“ და მეორე მხრივ, აქ, ამ ქალაქში (და არა მარტო თბილისში, არამედ ძალიან ბევრ რაიონულ ცენტრში) ყვავის შავი ბაზარი. ამის ახსნა უცხოელი კოლეგებისთვის წარმოუდგენლად რთულია და სამარცხვინო. როდესაც თავი მოგაქვს, რომ შენს ქვეყანაში ეს სფერო აღმავლობას განიცდის, ასეთი სერიოზული დარტყმა ნამდვილად ჩრდილოვანი ეკონომიკის მანიშნებელია. სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან, ვერც ერთხელ, რეალური დახმარება ვერ მივიღეთ. თუმცა, დახმარება ცუდი სიტყვაა, არავის დახმარება არ გვჭირდება, აქ კანონის აღსრულებაზეა ლაპარაკი. სამწუხაროდ, ვერც ერთხელ შედეგს ვერ მივაღწიეთ.“

პრობლემა რომ მრავალი წელი მძიმე ტვირთად აწევთ გამომცემლობებს, ამას **კახა რუსიძე**, გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორიც ადასტურებს: *„ბოლო დროს, ფინანსური სამსახური დაინტერესდა ამ საკითხით, რაც, პრინციპში, კარგია. ძალიან პრობლემატური საკითხია. გასულ წლებში ჩვენც გვქონდა ძალიან ბევრი შემთხვევა გაყალბებული წიგნების, ფინანსური სამსახურის უფროსთანაც კი ვიყავი შესული, რეაგირებაც დაიწყეს, მაგრამ სამართლებრივი მხარე ბოლომდე არ არის მოწესრიგებული, ამიტომ ყალბისმქმნელებს გახსნილი აქვთ ხელ-ფეხი. თვითონ ის ფაქტი, რომ ახლა შესაბამისი სამსახურების მხრიდან მეტი დაინტერესებაა, ძალიან მნიშვნელოვანია. ფინანსურმა პოლიციამ მაღაზიებიდან რამდენიმე გამომცემლობის წიგნები ამოიღო საკმაოდ დიდი რაოდენობით – სადგურის მიდამოებში საკონტროლო შესყიდვები განახორციელეს. ეს პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი. ალბათ პარლამენტშიც და სხვა შესაბამის სტრუქტურებშიც უნდა იმსჯელონ ამაზე, რომ, ერთხელ და სამუდამოდ, მოგვარდეს. ძალიან უხეშად ირღვევა ჩვენი საავტორო უფლებები . წარმოიდგინეთ, რომ ისინი, ვინც „ლევად“ ბეჭდავენ ე.წ. ყალბ წიგნებს, არც გადასახადებს იხდიან, არც ავტორს აძლევენ ჰონორარს და არც გამომცემლობაში შედის არაფერი, ამავდროულად, ძალიან სერიოზულ კონკურენციას ქმნიან.“*

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, ჯერ კიდევ 2016 წელს, საუბრობდა ამ პრობლემაზე და შესაბამის სტრუქტურებს ახსენებდა, რომ კონტრაფაქციული გამოცემები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად გადასაჭრელი საკითხია, რომელიც გამომცემლებს აწუხებს. გაყალბებული გამოცემებით სერიოზული მატერიალური ზიანი ადგებათ გამომცემლობებსა და ავტორებს, უხეშად ირღვევა მათი ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. აღნიშნული ფაქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებების პირდაპირ დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს.

2019 წლის 10 ოქტომბერს, გამომცემლებმა და ავტორებმა ოფიციალური განცხადებით მიმართეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის უფროსებს – მოუწოდებენ, სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. გთავაზობთ ამონარიდს ამ განცხადებიდან:

„მიმდინარე წელს კონტრაფაქციური (ყალბი, „ლევი“) წიგნების, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის წარმოება/გაყიდვამ მიიღო განსაკუთრებით დიდი მასშტაბი.

გამომცემლების გვერდის ავლით, ყალბი წიგნების წარმოებისას ხელყოფილია საავტორო და საგამომცემლო ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

კონტრაფაქციული წიგნები საფრთხის მატარებელია მომხმარებლის, განსაკუთრებით ბავშვის ჯანმრთელობისთვის, რადგან ეს წიგნები დამზადებულია იაფი, უხარისხო პოლიგრაფიული მასალებით, შეიცავს სხვადასხვა მავნე, მომწამლავ ნივთიერებას.

კონტრაფაქციული წიგნები უმეტეს შემთხვევაში იყიდება ჩეკისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე, აზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას...“

ამის პარალელურად, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ სპეციალური სამახსოვრო ბარათებიც დაამზადა – „წიგნის მოვაჭრეთა საყურადღებოდ“, სადაც მათ აფრთხილებს, რომ კონტრაფაქციული წიგნების, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოების, წარმოება და გაყიდვა დანაშაულია.

„კონტრაფაქციური წიგნების ბეჭდვა და გაყიდვა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მიხედვით. ამ ქმედებებზე პასუხისმგებლობას ასევე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157[1], 157[2] და 157[3] მუხლები, რა დროსაც კანონდამრღვევი დაჯარიმდება 500-დან 5000 ლარამდე.

გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ თქვენს სავაჭრო ადგილას აღმოჩენილი იქნება კონტრაფაქციული წიგნები (მათ შორის, სასკოლო სახელმძღვანელოები), თქვენ წინააღმდეგ გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.“

სამახსოვრო ბარათები ბაზრობებზე „ლევი“ წიგნებით მოვაჭრეებს, ე.წ. დახლის მოვაჭრეებს დაურიგეს. მიუხედავად იმისა, რომ აქ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეა საუბარი, ბარათების ადრესატები ამ აქციას არასერიოზულად ხვდებოდნენ, სიცილით. ამას შეიძლება ორი ახსნა ჰქონდეს: ან ამ ადამიანებს მართლა არ ესმით, რომ სისხლის სამართლებრივ დანაშაულს სჩადიან, ან მათ უკან იმდენად გავლენიანი პირები დგანან, რომ დაუსჯელობის განცდა უჩნდებათ.

გამომცემელთა ნაწილი ფიქრობს, რომ თუკი ადრე „ლევი“ ტირაჟებს დიდი სტამბები უშვებდნენ, ახლა, ისინი ასეთ საქმეებში აღარ მონაწილეობენ, პატარა, მინი-სტამბებია გახსნილი, ე.წ. იატაკქვეშა სტამბები, რომლებიც გადასახადებსაც კი არ იხდიან. არსებობს ვარაუდი, რომ წიგნებით მოვაჭრეები, ე.წ. მსხვილი მოთამაშეები, რომლებიც გამომცემლობებთან თანამშრომლობენ და იციან, რომელ წიგნებზეა მოთხოვნა საზოგადოებაში, თვითონ უკვეთავენ იატაკქვეშა სტამბებს „ლევი“ ტირაჟებს და თვითონვე ავრცელებენ ბაზრობებზე.

გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი კახმეგ კუდავა, ჩვენთან საუბარში („ახალი განათლება“ №33), გამოთქვამდა ვარაუდს, რომ, დიდი ალბათობით, ვისაც მათი დისკები აქვს მიბარებული და ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, მაგალითად, 19 ათას ეგზემპლარს, დაბეჭდავს 20 ათასს და ათასს შავ ბაზარზე გაუშვებს. *„ჩვენ ამის გაკონტროლების საშუალება არ გვაქვს. ეს ის ხალხია, ვისაც მონოპოლია აქვს ბეჭდვაზე. აგერ უკვე მერამდენედ, პირდაპირი შესყიდვის გზით იბეჭდება სახელმძღვანელოები.“*

ყველა შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფოს პოზიცია – გატარდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. თუკი ევროპისკენ მივისწრაფით და ვაღიარებთ დემოკრატიულ ღირებულებებს, კარგი იქნებოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გაზიარება და, შესაბამისად, საავტორო და საგამომცემლო ინტელექტუალური საკუთრების უფლების პატივისცემა.

კიდევ ერთი, სახელმწიფოსა და გამომცემლებს შორის გაჩენილი უთანხმოების ფონზე, არ დაგვავიწყდეს ის ბავშვები, ვის ხელშიც უხარისხო პოლიგრაფიული მასალით დამზადებული, ჯანმრთელობისთვის საზიანო კონტრაფაქციული წიგნი მოხვდება. ახლა ჯერი სახელმწიფოზეა, ვნახოთ, რამდენად სწრაფი და ეფექტური იქნება რეაგირება.

ინკლუზიური განათლება

ფასადური რეალობის მიღმა – ჩვენი შვილების ხარჯზე მიღებულმა ვიზალიბერალიზაციამ სასიკეთო ჩვენს შვილებს არაფერი მოუტანა

ლალი ჯელაძე

საქართველოში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფო პრიორიტეტებს მიღმა აღმოჩნდა და მშობლები მხოლოდ კერძო პროვაიდერების იმედად დატოვა. ცენტრები მომსახურებაში საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ (45 წუთი, მინიმუმ, 30 ლარი ღირს). საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვს დღეში, მინიმუმ, 4-საათიანი თერაპია უტარდება, ჩვენთან კი, თვეში 20 საათია გათვალისწინებული და ისიც ჩაკეტილ ოთახში, თან არა ყველასთვის, რადგან პროგრამა, თბილისის გარდა, რამდენიმე ქალაქში ფუნქციონირებს.

თბილისის მერიის პროგრამა, სტატისტიკის ზრდის გამო, სრულად ვეღარ უზრუნველყოფს დაფინანსებას, ამას ემატება განათლების სფეროში შექმნილი პრობლემებიც... რას ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო და რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სკოლა? ეს ორი მთავარი კითხვაა, რომელზეც თამარ იარაჯული, მთავარანგელოზ გაბრიელისა და პეტრე მოციქულის სახელობის ფონდის დამფუძნებელი, სსსმ ბავშვის მშობელი საუბრობს. „ვფიქრობ, რომ ვცხოვრობ კოლონიაში. გაუმართავი განათლების სისტემა... გაუმართავი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ჩემი შვილის საჭიროებებს, ამას დამატებული ხელოვნურად გაზრდილი ხარჯები, ხელოვნურად ჩაკეტილი „საზღვარი“ – აბა სხვა რა არის?“ – ამბობს თამარ იარაჯული და ღიად საუბრობს იმ ბავშვების მძიმე ყოფაზე, რომლებიც სახელმწიფომ ყურადღების მიღმა დატოვა, იმ პრობლემებზე, რომელიც აუტისტურ მდგომარეობას თან ახლავს ჩვენს ქვეყანაში!

ჩვენ შესახებ ისე კარგად ვერავინ ისაუბრებს, როგორც ჩვენ – მშობლები

რა თქმა უნდა, პრობლემებზე საუბარი მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, გვსურს თუ არა. მოგვწონს თუ არა, ეს უკვე მეასეხარისხოვანია, რადგან ჩვენ შესახებ ისე კარგად ვერავინ ისაუბრებს, როგორც ჩვენ – მშობლები და ოჯახის წევრები. დიაგნოზის დადგენის დღიდან, სტიგმის მსხვერპლიც პირველები ჩვენ ვხდებით, მაგრამ საკუთარ თავთან მუშაობის შემდეგ (მე ამას იძულებას ვეძახი) ვცდილობთ ცხოვრების გაგრძელებას და ვიწყებთ ბრძოლას ჩვენი შვილების დასაცავად. ცალკე სამყაროში გვიწევს ყოფნა, ცალკე დგომა. მე ასე ვფიქრობ. მეტიც, ამას ვგრძნობთ საზოგადოების, ნათესავების და ხშირად ოჯახის მხრიდანაც. სამწუხაროდ, ამის გამო ბევრი ოჯახი ინგრევა. დიაგნოზის მერე შენი ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა – ხედავ ადამიანებს, რომლებიც უფრო მარტივ ცხოვრებას გადიან და ხედავ ცალკე ბანაკად ქცეულ საკუთარ ცხოვრებას, რომელიც ამ მარტივ გზას ძალიან დაშორებულია. მერე თვითონ ცხოვრება გხდის იძულებულს, თემა საჯაროდ გამოიტანო და პრობლემაზე ისაუბრო.

თუმცა, პრობლემებზე საუბარში სულაც არ ვგულისხმობ იმას, რომ გამუდმებით იწუწუნო და დახმარება ითხოვო – მიშველეთ, ჩემი შვილი მძიმე მდგომარეობაშია... სულაც არ მინდა საცოდავის როლში ვიყო, არც მე და არც ჩემი შვილი. პირიქით, ძალიან დიდ ტკივილს მაყენებს, თუკი გაბრიელი გაუბედურებული ადამიანის როლში იქნება. უბრალოდ, როგორც მშობელმა, სახელმწიფოს და საზოგადოებას ხმამაღლა მინდა ვუთხრა, რომ სამი შვილის დედა ვარ და სამივეს სხვადასხვა საჭიროებები აქვს, აქედან ერთ-ერთი, შეზღუდული შესაძლებლობისაა, ვერ საუბრობს. აქედან გამომდინარე, მე მიწევს მისი სურვილების და საჭიროებების გახმოვანება, რაც ხშირად საზოგადოებაში აგრესიას იწვევს. ბევრმა სწორედ იმიტომ შემიძულა, რომ არ ვთმობ ჩემი შვილის უფლებების დარღვევას. მას შემდეგ, რაც გაბრიელს აუტისტური სპექტრის დიაგნოზი დაესვა, ბევრი მტერი გამიჩნდა. აუტისტურ სპექტრს კი ძალიან ბევრი პრობლემა ახლავს. ალბათ, არც ერთი მშობელი არ მიწყენს, თუ ვიტყვი – გყავდეს შეზღუდული შესაძლებლობების შვილი, ეს საქართველოში განაჩენია, იმიტომ, რომ მუდმივად გიწევს ბრძოლა არსებობისთვის, გადარჩენისთვის... მესმის, შეიძლება იბრძოლო კანონპროექტებისთვის, იბრძოლო სამართლებრივი რეგულაციების დახვეწაზე, მაგრამ არ უნდა გიწევდეს ბრძოლა იმისთვის, რომ პამპერსი და მედიკამენტები უყიდო შვილს. ამ შემთხვევაში, პირადად ჩემზე არ ვსაუბრობ, ზოგადად, ბევრი ბავშვის უფლებას ვიცავ. თუმცა, მინდა ჩემი შვილის მდგომარეობასაც შევეხო. როგორ ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში მყოფ ადამიანებს გვაქვს იმის უფლება, მოგვწონს თუ არა, ამაზე ხმამაღლა არ ვისაუბროთ?

ხშირად, ძალიან მძიმე და რთული ღამის შემდეგ, დილა რომ თენდება, სურვილი მიჩნდება, ქუჩაში გამოვიდე და ხმამაღლა ვიყვირო: ხალხო, თქვენ რაზეც წუწუნებთ, ის არაფერია იმასთან შედარებით, რა პრობლემების წინაშეც ჩვენ ვდგავართ. ასეთი მძიმე ღამეები კი საკმაოდ ხშირია – გარემო პირობებისგან დარღვეული დღის შემდეგ, ბავშვმა შეიძლება მთელი ღამე არ დაიძინოს, პანიკური შიში იპყრობს, ვერ ისვენებს. რადგან ვერ მეტყველებს ჩემი შვილი, ამ განცდებს ყოველთვის ძალიან დიდი ემოციით, ტირილით გამოხატავს...

მადლობა მინდა გითხრათ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც თუნდაც ამ თემებით ინტერესდებით. იმდენად პოლიტიზირებულია საზოგადოება,ზოგადად, ქვეყანა, რომ უმეტესობას არაფერი აინტერესებს, გარდა მართული პროცესებისა. ხშირად არ აინტერესებთ ყველაზე წმინდაც კი, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვების ბედიც. ყურადღების მიღმა რჩებათ მედიკამენტის გარეშე დარჩენილი მომაკვდავი ბავშვები. არის შემთხვევები, როცა მშობელი თხოულობს კარტოფილს, პურის ფქვილს, რომ რაღაცით გაიტანოს თავი. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ასეთი ოჯახი გვყავს საქართველოში. გვყავს ბევრი მარტოხელა დედა უამრავი პრობლემის პირისპირ დარჩენილი, რომელიც ფიზიკურად ვერ მუშაობს. მას სახელმწიფო ბავშვზე მეურვეობას ცარიელი ხელებით აკისრებს. უფლება არა აქვს, ერთი წუთი დატოვოს ბავშვი (ვერც დატოვებს, იმდენად მძიმეა ასეთი ბავშვების მდგომარეობა), რომ სამსახურში წავიდეს. უწევს, მხოლოდ შვილის 200-ლარიანი პენსიით ცხოვრება, მისი გამოკვება. იძულებულია, შვილს ლუკმა გაუტეხოს, რომ არ დაეცეს, ენერგია და ძალა შეინარჩუნოს, რომ მეორე დღეს ცხოვრება გააგრძელოს თავის შვილთან ერთად.

მოკლედ, კატასტროფულ მდგომარეობაშია დღეს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი. პირადად ჩემი მეუღლე მუშაობს, მაგრამ ფიზიკურად ვერ ვწვდებით იმ საჭიროებებს, რაც ჩვენს შვილს აქვს. სწორედ ამიტომ, თბილისის მერიას მივმართავ თხოვნით – მინდა კახი კალაძის ყურამდე მივიტანო ჩვენი გასაჭირი. არა მგონია, ბატონ კახის არ გაუჩნდეს ჩვენი მოსმენის სურვილი... მოგვისმინოს მშობლებს იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ პოლიტიკურად მართულები, ჩვენ ჩვენი შვილების მდგომარეობა გვმართავს. სახელმწიფოს ვთხოვთ (არ მოვითხოვთ), რომ დადგეს ასეთი ბავშვების გვერდზე. ჩვენ არ ვითხოვთ ფინანსურ დახმარებას, არ ვითხოვთ პენსიის მომატებას, თუმცა, ასეთი თხოვნაც გვქონდა, მაგრამ ისეთი წინააღმდეგობა შეგვხვდა, რომ მივხვდით, აზრი არ აქვს. ვთხოვთ, ვაუჩერები ჩაურიცხონ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებს, რომ მათი მკურნალობა შეძლონ.

რას ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო

აუტიზმი ნეიროგანვითარების შეფერხებაა და არა რაიმე ორგანული დაავადება, რომელსაც არ შეიძლება ეშველოს. მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანების უმეტესობა ამთავრებს სკოლებს, უნივერსიტეტებს, მართავენ ავტომობილს, მუშაობენ... უცხოეთში, არც ერთ ქვეყანაში, სადაც კი ვყოფილვარ, არ მინახავს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი მშობელს ხელჩაკიდებული დაყავდეს ქუჩაში. ჩვენთან, სამწუხაროდ, ამ მხრივ, ძალიან დიდი დარღვევებია. არ გაგვაჩნია გარე თერაპიები. ცენტრები, რომლებიც საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ (45 წუთი, მინიმუმ, 30 ლარი ღირს) მომსახურებაში, ერთ-ერთ თერაპიად, სწორედ გარე თერაპიას უნდა ატარებდნენ. სტანდარტის მიხედვით, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვს დღეში, მინიმუმ, 4-საათიანი თერაპია უტარდება (მხოლოდ ერთ თერაპიაზეა საუბარი), ჩვენთან კი, თვეში 20 საათი უტარდებათ, ისიც ჩაკეტილ ოთახში და თან არა ყველას. იმდენად მცირეა ასეთი ცენტრების რაოდენობაც და სპეციალისტებიც, რომ ფიზიკურად ვერ ახერხებენ გარეთ მუშაობას. არადა, აუტიზმის შემთხვევაში, ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ გარეთ, ქუჩაში იქმნება – ხმაურის შიში, საზოგადოებასთან ინტეგრირება... ანუ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ ჯერჯერობით, ფასადის დონეზეა – პროგრამების ჩონჩხია, ჯერ ხორცი არ შესხმია, შესაბამისად, ამ მხრივ, ძალიან უკან ვართ.

სახელმწიფოს საერთოდ არ აქვს მსგავსი სერვისები, მხოლოდ კერძო პროვაიდერების იმედად ვართ. რამდენიმე ორგანიზაციამ დაიწყო – ჩვეულებრივი ბიზნესია, სადაც მიგვყავს ბავშვები და სპეციალისტები მუშაობენ ქცევაზე, მეტყველების განვითარებაზე, სენსორულ თერაპიაზე და ა.შ. ეს მომსახურება მსოფლიო სტანდარტებთან არა თუ მორგებული, მიახლოებულიც არ არის, რადგან, როგორც გითხარით, ჯერჯერობით, ვერ ვმუშაობთ სკოლებში, ბაღებში, სკვერებში, ტრანსპორტში, სადაც ყველაზე დიდი პრობლემა გვაქვს.

თავის დროზე, ჩვენი დიდი მცდელობისა და თხოვნის შემდეგ, დავით ნარმანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისთვის დაეფინანსებინა საპილოტე პროექტი. მას შემდეგ გრძელდება პროგრამა, გაიზარდა ბიუჯეტიც, თითქმის ყოველ წელს იზრდება, რადგან, სამწუხაროდ, აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანების სტატისტიკა იზრდება და მსოფლიო ზრდის ამ დაფინანსებებს, ჩვენთანაც ხომ უნდა გაიზარდოს?! მით უფრო, როცა იმის ფუფუნებაც არ გვაქვს, რომ პენსია გაიზარდოს. მთელი რიგი სახელმწიფოები, მაგალითად, შვედეთი, გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი სრულად უზრუნველყოფენ ყველა საჭიროებას, მაღალი პენსიებითა და სხვადასხვა მომსახურებით. ჩვენ ელემენტარულს ვერ მივაღწიეთ, ის 20-საათიანი თერაპია მაინც ჰქონდეს ყველა ბავშვს განურჩევლად მისი საცხოვრებელი ადგილისა.

არიან მშობლები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანამ დეპორტი გაუკეთა, როდესაც თეა წულუკიანმა გამოაცხადა, რომ უსაფრთხო ქვეყანა ვიყავით და ჩვენს ქვეყანაშიც მიეწოდებოდათ ბავშვებს ყველა საჭირო სერვისი. ვიზა-ლიბერალიზაცია ზუსტად ჩვენი შვილების ხარჯზე აქვს მიღებული ჩვენს ქვეყანას, რაც ალბათ, ბევრმა არ იცის. ამ განცხადების შემდეგ კი, ოჯახებს სპეცრეისებით უკან აბრუნებდნენ. მათგან უმეტესობამ საცხოვრებელი გაყიდა და უცხოეთში წაიყვანა შვილი, იქნებ რომელიმე ქვეყანაში მიეღო ის საჭირო სერვისები, რაც ბავშვს მდგომარეობიდან გამოიყვანდა. ახლა, სახელმწიფომ ეს გზაც ჩაგვიკეტა, იქაც ვეღარ შევძლებთ ბავშვების მკურნალობას. ქვეყნები, რომლებიც გვიღებდნენ, გვმკურნალობდნენ და ყველა საჭიროებას უზრუნველყოფდნენ, ამ განცხადების მერე, უარს ამბობენ ჩვენს მიღებაზე. ეს გზაც აღარ არსებობს. ფაქტობრივად, ჩვენ ვიმყოფებით კოლონიაში ჩაკეტილები. დიახ, მე ვფიქრობ, რომ ვცხოვრობ კოლონიაში. გაუმართავი განათლების სისტემა, რომლის გამოც, მე, წერეთელზე მაცხოვრებელ ადამიანს, გაბრიელის ტარება მიწევს ვაკეში, ფალიაშვილზე მდებარე სკოლაში; გაუმართავი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ჩემი შვილის საჭიროებებს, ამას დამატებული ხელოვნურად გაზრდილი ხარჯები, ხელოვნურად ჩაკეტილი „საზღვარი“ – აბა სხვა რა არის? ყოველდღე მიწევს გაბრიელის სკოლაში ტაქსით ტარება, ის საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ მგზავრობს, რადგან, როგორც წესი, ტრანსპორტი გადატვირთულია მგზავრებით და გაბრიელს პანიკური შიში ეწყება, როცა ადამიანი ძალიან ახლოს მიდის მასთან, ან როცა ავტობუსი დაამუხრუჭებს და ა.შ. ამის გამო ტაქსით ვმგზავრობთ, მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ დიდუბის რაიონში სამინისტრომ სკოლა ვერ გვიპოვა, რომელიც ჩვენს საჭიროებებს დააკმაყოფილებდა. სახელმწიფო ისე გიწყობს ყველაფერს, რომ იმის მაგივრად, ხარჯები შეგიმციროს, თავისი უსუსურობისა და უსაქმურობის ხარჯზე, გიზრდის ხარჯებს და შენც მუდმივად, იძულებით შექმნილ პრობლემებთან გიწევს გამკლავება.

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას. კვლევა მაქვს ჩატარებული: ათი ბავშვიდან, შეიძლება, ერთ ბავშვზე (შეიძლება ესეც არა) ჰქონდეს სკოლას განსაზღვრული ინდივიდუალური გეგმა, ჰყავდეს პირადი ასისტენტი და, ყოველდღიურად, მოსწავლე ორ გაკვეთილზე მეტს ესწრებოდეს. გაკვეთილზე დასწრების მაქსიმუმი რაოდენობა ორია, მაგრამ ჩემი შვილის შემთხვევაში (ის მეოთხე კლასშია), ერთ გაკვეთილზე მეტს ვერ რჩება. მაგალითად, დღეს უნდოდა გაბრიელს სკოლაში დარჩენა, მაგრამ ვერ დავტოვეთ, რადგან განსაზღვრული არ არის, ერთ საათზე მეტი. პედაგოგს ძალიან ბევრ მოსწავლესთან უწევს მუშაობა, ამიტომ ერთ ბავშვთან ერთ გაკვეთილზე მეტი დროით ფიზიკურად ვერ გაჩერდება.

რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სკოლა

თქვენ შეგიძლიათ პატარა კვლევა ჩაატაროთ და ნახავთ, რომ ყველაფერი ფასადურია, როგორც პანდუსი წყდება კარებშივე, თითქმის ყველა სკოლაში, ისე წყდება ინკლუზიური განათლების პროცესებიც. მთელ საქართველოში შეიძლება ათი

ინკლუზიური განათლება

სკოლა მოიძიოთ, სადაც შენობა მთლიანადაა ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისთვის. საჩვენებლად გვაქვს სკოლის შესასვლელში პანდუსი, მაგრამ იმის იქით ეტლით მოსარგებლე ვერაფრით ვეღარ სარგებლობს, ვერც სპორტდარბაზით, ვერც სასადილოთი და ვერც ტუალეტით. ხელით უწევთ პედაგოგებს ბავშვების კიბეებზე აყვანა. როგორც ეტლით მოსარგებლეს სჭირდება პანდუსი, ისე სჭირდება სხვა საჭიროების მქონე ბავშვებს სხვადასხვა რამ, მაგალითად, უსინათლოებს სპეციალური სახელმძღვანელოები, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს სპეციალური მასალები, რითაც უნდა იმუშაონ და ა.შ., მაგრამ ეს ძალიან დიდი ფუფუნებაა ჩვენთვის. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც პედაგოგებთან გვხვდება, რომლებსაც ჰგონიათ, რადგან სპეცპედაგოგი უზით გაკვეთილზე, ვალდებული აღარ არიან, რომ ბავშვები სასწავლო პროცესში ჩართონ. ინკლუზიური განათლება კი, სწორედ ამას გულისხმობს, სპეცპედაგოგმა (რომელიც გაკვეთილს ესწრება) რეკომენდაცია უნდა მისცეს ასისტენტს და პედაგოგს, რის საფუძველზეც, მათ მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში უნდა ჩართონ.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ხშირად ვითხოვ, რომ მასწავლებლებმა გაკვეთილზე, თუნდაც 10-15 წუთი, სოციალურ თემებზე საუბარს დაუთმონ, რომ ჩვენმა შვილებმა ერთიანობა იგრძნონ. ამას ხომ მაინც არ სჭირდება სპეციალური განათლება, უფრო ადამიანური მიდგომაა საჭირო. რაღაც მარტივი გზა უნდა მოძებნონ იმისთვის, რომ ბავშვები დამეგობრდნენ. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი თაობისგან განსხვავებით, ძალიან კარგი თაობა მოდის და მათთან კომუნიკაციის პრობლემა ნაკლებია. ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები უფრო მშობლებს გვიჯანყებენ, რომლებსაც არწმუნებენ, რომ ჩვენი შვილების გამო გაკვეთილი ჩაეშალათ. ხშირად, ძალიან ცუდი ფაქტების წინაშე დავმდგარვართ ხოლმე.

7 სექტემბერს, გაბრიელს ძალიან ცუდი სიტუაცია დახვდა სკოლაში. ამის შემდეგ, განათლების სამინისტროში, ქალბატონ ეკა დგებუაძესთან და ნოდარ რაზმაძესთან ერთად, ძალიან აქტიური მუშაობა დავიწყეთ სპეცმასწავლებლების გადამზადებასთან დაკავშირებით. მათი შრომა აუცილებლად უნდა დაფასდეს, რომ უკმაყოფილების განცდა აღარ ჰქონდეთ, რაც, სამწუხაროდ, მერე ჩვენს შვილებზე ძალიან ცუდად აისახება. სპეცმასწავლებლები არ უნდა იყვნენ განსხვავებულ მდგომარეობაში, მართლა შეუფასებელ შრომას ეწევიან, ფაქტობრივად, მათ უწევთ იყვნენ ადვოკატები, მშობლები, პედაგოგები, ასისტენტები... ბევრ პროფესიას ითავსებენ საგაკვეთილო პროცესში. ასისტენტებსაც ძალიან ცუდი მდგომარეობა აქვთ – 3 ლარს უხდიან ერთ საათში, საიდან მოიტანეს ეს თანხა ან რა სტანდარტით ხელმძღვანელობენ ვერ გეტყვით. აქედან გამომდინარე, კადრებს ვერ ვარჩევთ. ასისტენტის შერჩევისას, პროფესიასაც კი არ კითხულობს ვინმე, ნებისმიერი ადამიანი აგზავნის განაცხადს ვაკანსიის დროს და მერე თუ გაგვიმართლა და კარგი ადამიანი აღმოჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და, გვიწევს ხშირი ცვლა, რაშიც ბევრი დრო იკარგება. დიდი პრობლემების წინაშე დგას ინკლუზიური განათლება და ვფიქრობ, პროფესიული განვითარება, პერიოდულად – სპეცპედაგოგების და ჩვეულებრივი პედაგოგების გადამზადება აუცილებელია. ფაქტია, რომ მათ სჭირდებათ ტრენინგები, გამოცდები. ხშირად, სპეცპედაგოგისგან ასეთი ფრაზებიც მომისმენია: რა გავაკეთო, ინკლუზიური ბავშვია. ტერმინებიც არ იციან სწორად – ინკლუზიური ბავშვი კი არ არის, ინკლუზიური განათლებაა! ბავშვი კი, სპეციალური საჭიროების მქონეა! მოკლედ, ჭაობში ვართ, სადაც ჩვენი შვილები იძირებიან და გადაწყვეტილების მიმღები პირები ვერ ხვდებიან, რომ, ამ შემთხვევაში, აკადემიურ უნარებზე მუშაობა კი არ არის მთავარი, იმ არასწორი მიდგომების შეცვლაა, რომელიც წყალში გვიყრის ათასობით და ასიათასობით ლარს და ყველაზე ძვირფას დროს ყველაზე მნიშვნელოვან ასაკში, როცა ბავშვი უნდა განვითარდეს. ჩვენი წლობით ნამუშევარი, ამის გამო, მართლა წყალში იყრება და წვალებით მიღწეული ის მცირე პროგრესიც, არასწორი გადამუშავებით, ხშირად, კიდევ უფრო ამძაფრებს ქცევის დარღვევებს და მეტ აგრესიას აჩენს ბავშვებში. იმიტომ, რომ მასწავლებელი სწორად ვერ მიუდგა, იმიტომ, რომ მას ბავშვმა ვერ უთხრა, ვერ მიანიშნა, რომ მასზე ასეთი მიდგომა ცუდად მოქმედებს. ერთ-ერთ სკოლაში ასეთი რამ ხდება (ჯერ საჯაროდ არ დავასახელებ), სპეცპედაგოგი ამბობს, რომ ბავშვს ტუალეტში ვერ შეყვება. ამის გამო, ის ბავშვი, სკოლის პერიოდში, ყოველდღე, შარვალში ისაქმებს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია

მოსწავლე. როდესაც მშობელმა ამის შესახებ სტატუსი დაწერა, მკაცრად უთხრეს, თუ სტატუსს არ აიღებდა, პროკურატურაში უჩივლებდნენ – შანტაჟი სპეცპედაგოგის მხრიდან წამოვიდა. აი, რას ვერ აკმაყოფილებს სკოლა!

პირადად მე, ძალიან ბევრი ქეისი მაქვს მომზადებული, რომელიც განათლების სამინისტროს წარვუდგინე, უშუალოდ ეკა დგებუაძეს. მინდა გითხრათ, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ მასთან ყოველი შეხვედრით. ყურადღებით მისმენს და ახლა თავად გეგმავს მონიტორინგის ჩატარებას. გუნდშიც ძალიან კარგი და გულისხმიერი სპეციალისტები ჰყავს. აუცილებლად მინდა დავასახელო სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ნათია ნიაური, რომელსაც მადლობას ვუხდი იმ პროფესიონალიზმისთვის და იმ ყოველდღიური შრომისთვის, რასაც ეწევა. შემიძლია ვთქვა, რომ ერთი ნათელი წერტილია ჩემთვის სამინისტროში. თითოეული ბავშვის საქმეს განიხილავენ და გვპირდებიან, რომ დაეხმარებიან. იმედია, ეს მხოლოდ დაპირებად არ დარჩება! მერე, მართლა ვეღარ გავჩერდებით, იმიტომ, რომ ყოველი სასწავლო წლის პირველი სამი თვე ჩვენთვის ჩვეულებრივი ჯოჯოხეთია და ეს ჯოჯოხეთი გამოწვეულია იმით, რომ ყოველწლიურად, სასწავლო წლის დაწყებისას, ახალი სპეციალისტები გვხვდებიან და მერე ჩვენ, ყოველ წელს, ვასწავლით მათ, როგორ მოექცნენ ჩვენს შვილებს.

სქემა – მთავარი კვალიფიკაციაა და არა რაოდენობა

სპეცპედაგოგის პროფესიული განვითარების სქემის შექმნაში ჩართულები ვართ მშობლებიც – რამდენიმე ორგანიზაცია – ნინო ომანაძე, მარიამ ხაჭაპურიძე და სხვები. ჩვენი დევიზია – არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე! იმიტომ, რომ ჩვენ გარეშე რაზეც კი იმუშავეს, იყო ეს კანონპროექტები თუ სხვა, ახლოსაც არ არის იმ საჭიროებებთან, რაც ჩვენს შვილებს აქვთ. მხოლოდ ფურცელზე დატოვებული ნაწერები აღარ გვჭირდება – ჩვენი შვილების განვითარებისთვის ძალიან ძვირფასია ეს წლები, რომელსაც უკან ვეღარ დავაბრუნებთ.

ყველა დეტალში ვართ ჩართულები. დარწმუნებული ვარ, ისეთი სქემა გაკეთდება, რომელიც უფრო მეტად იქნება ბავშვის საჭიროებებზე მორგებული. წინასწარ არ მინდა ამის გახმაურება, მაგრამ მცირე დეტალებს მაინც ვიტყვი – ბავშვების შეფასებების მიხედვით დაინიშნება სპეციალისტი და განისაზღვრება მიდგომები. ყველაზე მთავარი, რასაც მოვითხოვთ, სკოლების მონიტორინგია, მხოლოდ მონიტორინგი უნდა აწარმოოს დამოუკიდებელმა უწყებამ და ჯგუფში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული – მშობელი, კომპეტენტური იურისტი ან სპეცპედაგოგი განათლებით.

ყველამ ვიცით, რომ ჩვენ გარშემო არიან უჩინარი ოჯახები და ბავშვები, რომლებიც საერთოდ არსად ჩანან. რეალურად, შეიძლება სკოლებში ირიცხებოდეს ათასი ბავშვი, მაგრამ აქედან სკოლაში დადიოდეს 200 და 800 – არა. აქედან გამომდინარე, რგოლი უნდა შეიკრას და ამ რგოლში აუცილებლად ჩაერთოს სოციალური სამსახური. მათ უნდა მოიკითხონ, რატომ არ დადის ის 800 მოსწავლე სკოლაში? ჩვენ, ერთი მხრივ, ვაცხადებთ, რომ ადამიანის უფლებები პრიორიტეტულია, მათ შორის, უფრო მეტად ბავშვთა უფლებების დაცვა და, მეორე მხრივ, არ ვსვამთ კითხვას – როგორ ვიცავთ ბავშვებს? თუ ტიპური განვითარების ბავშვი აცდენს სკოლას და იმ დღესვე ვურეკავთ მშობელს, ვეკითხებით მიზეზს, რატომ გააცდინა ან თუ დიდი ხანი არ მოვიდა, მერე პასუხს ვითხოვთ, რატომ არ ხდება ეს სსსმ ბავშვების შემთხვევაში? რატომ? იმიტომ, რომ ამით ნაკლები პრობლემა აქვთ, თუ არ ივლის, მით უკეთესი მათთვის. მე არასოდეს ვამბობ, რომ ჩვენს შვილებს იოლი მდგომარეობა აქვთ, ამ შემთხვევაში, მე ჩემს შვილზე ვსაუბრობ, არ მინდა ზოგადად შევეხო ყველას. კი ბატონო, საკმაოდ რთული, სპეციფიკური და ფაქიზი სამუშაოა, მაგრამ ამისთვის თანხებია გამოყოფილი და, სამწუხაროდ, ისიც უგზო-უკვლოდ იკარგება, უმისამართოდ არის გაწერილი.

ჩვენი როლი სქემის დამუშავების პროცესში, წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებისა და ინფორმაციის სწორად გამოყენებაა. გვინდა, ამ გამოცდილების გათვალისწინებით შეადგინონ სქემა, რომელიც, უპირველესად, ბავშვის საჭიროებებსა და უფლებებს გაითვალისწინებს, გვინდა ისე გაიმართოს, რომ ყველას უფლება თანაბრად იყოს დაცული. აღარ მივცემთ საშუალებას ამ ადამიანებს, ამჯერად მაინც, კიდევ ერთი დოკუმენტი დარჩეს მარტო ფურცელზე. როცა სქემა გასაჯაროვდება, მიხვდებით, რა როლი შევიტანეთ ჩვენ მის შედგენაში.

მთავარი კრიტერიუმები, სპეცმასწავლებლის შერჩევისას, რა თქმა უნდა, გამოცდილება და პროფესია იქნება და, რაც მთავარია, აუცილებლად-გამოცდები! რომელსაც სამომავლოდ ჩაბარებენ. შეიძლება 1000 სპეცპედაგოგიდან 100 დარჩეს, მაგრამ მთავარი ხომ კვალიფიკაცია და ხარისხია და არა რაოდენობა. მერწმუნეთ, ყველა მოინდომებს გამოცდის ჩაბარებას და პროფესიულ განვითარებას. ჩვენ არ გვჭირდება რაოდენობა, ჩვენ არ ვართ დამსაქმებლები, ჩვენ ვართ მშობლები და გვჭირდება განათლებული და სერტიფიცირებული პედაგოგები.

ინკლუზიურ განათლებაში ნომერ პირველი გამოწვევა ხომ არაკვალიფიციური სპეცმასწავლებელია, მასთან ერთად, პედაგოგები და დირექტორები...

❖ ❖ ❖

სამწუხაროდ, და ამას პირველად ვამბობ, ძალიან გვიან მივხვდი, რომ ძალიან ბევრი ტაშისმკვრელი საზოგადოება ჰყავს ამა თუ იმ დაწესებულებას, სამინისტროებს. მთავრობის წარმომადგენლებთან როდესაც აქვთ შეხვედრები, ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად არის... აქედან გამომდინარე, ხშირად მიწევს კონფლიქტურ სიტუაციებში ყოფნა იმიტომ, რომ არ შემიძლია არ ვთქვა სიმართლე, რადგან ჩემს უკან ჩემზე უფრო ცუდად მყოფი მშობელი დგას, ჩემზე მეტ პრობლემაში მცხოვრები ადამიანები არიან. ამიტომ, ვფიქრობ, ჩემი ცოდნა



და გამოცდილება თუ არ მოვახმარე ამ ბავშვებს, უბრალოდ, ჩემს შვილს თვალებში ვეღარ შევხედავ. ყოველი მათი ხმაური, ტირილი, ტკივილი ჩემი შვილის ტკივილთან მაქვს გაიგივებული. კატასტროფაა, როცა პრობლემებით დახუნძლულს არავინ გისმენს, ამ დროს კი, ტელევიზიით უყურებ როგორ უკრავენ ტაშს ამა თუ იმ სამინისტროს, მინისტრს და შენ იცი ის საშინელი რეალობა, რომელშიც ბავშვებს უწევთ ცხოვრება.

❖ ❖ ❖

ჩემი შვილი ჯანმრთელია, უბრალოდ, მას საჭირო გარემო სჭირდება განვითარებისთვის, მაგრამ, ამას, ექვსი წლის ბრძოლის მიუხედავად, მაინც ვერ მივაღწიე. ჩემი შვილი კი არ მზღუდავს, ის დამოკიდებულება მხდის ცუდად, რაც გარშემოა. მუდმივად ვხედავ შეხვედრებს, უამრავ პროექტს, საუბრებს და ამ თემებით გაკეთებულ პიარს – ყველა დღესასწაულზე გამოფენილ იმ ბავშვების ფოტოებს, რომლებიც რეალურად არავის ახსოვს.

❖ ❖ ❖

ძალიან მინდა, საზოგადოება შეიცვალოს ჩემი შვილის მიმართ და არა ჩემი შვილი საზოგადოების მიმართ. აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანები ყველაზე სწორად მართავენ თავის ცხოვრებას, არ შეუძლიათ პირფერობა, ზედმეტი შეხება, არ შეუძლიათ ხმაური. მე მათ „ინტელიგენტ“ ადამიანებს ვეძახი, რადგან ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება, მათთვის აუტანელია. ყველაზე გულწრფელები არიან. არ შეუძლიათ მოგატყუონ, ყველაზე უკეთ გრძნობენ როდის ხარ ცუდად, ყველაზე მეტად ემოციურები არიან, ყველაზე მეტად მოწესრიგებულები. მათ აქვთ ჩარჩო, რომლიდან გამოსვლაც უჭირთ. იმის მერე, რაც გაბრიელს დიაგნოზი დაესვა, ვიცი, რომ თუ დავდივართ ერთ გზაზე, არასდროს არ უნდა გადავუხვიოთ მეორე გზაზე, რადგან ეს გაბრიელისთვის არაკომფორტულია. ზედმეტს არაფერს ითხოვენ იმის გარდა, რომ უმიზეზოდ არ შეეხო. არც პოზიტიური დისკრიმინაცია მოსწონთ – რა კარგი ბავშვია, უიმე, გაბრიელ, რა ლამაზი ხარ! ითხოვს, მოექცე ჩვეულებრივად, ისე როგორც სხვებს ექცევი, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია!

❖ ❖ ❖

გაბრიელს ძალიან მოსწონს სკოლაში სიარული, უყვარს ცირკში და თეატრში წასვლა. სამწუხაროდ, ნათესაობასთან ხშირად გვაქვს პრობლემები, რადგან ჯერ კიდევ მითების ტყვეობაში ცხოვრობს ხალხი, მუდმივად ცდილობენ, მოარიდონ საკუთარ პატარებს, ეშინიათ რამე არ დაუშაოს.

კლასელებთან ურთიერთობა იდეალურად გამოსდის, გაუმართლა – არაჩვეულებრივი, სიყვარულით სავსე თანაკლასელები ჰყავს, მათი ურთიერთობები მოჩვენებითი არ არის. ზოგადად, ბავშვები ძალიან უყვარს, თანატოლებთან ურთიერთობას ბაგიდანაა მიჩვეული. უყვარს მეგობრები, მათ შორის, „დიდი მეგობრები“, უყვარს სტუმრები, ჩაკეტილი არ არის. მოსწონს მუსიკის მოსმენა, ხატავს, არაჩვეულებრივად ცურავს, ცურვა მისთვის მთელი ცხოვრებაა.

❖ ❖ ❖

მთელი ცხრა წელი ჩემს შვილს ერთადერთი პრობლემა აქვს – უყურადღებობა. მაშინაც კი, როცა საავადმყოფოში მიგვყავს, მაგალითად, ვირუსული ინფექციით, ხშირად უკან გვაბრუნებენ მიზეზით – რა გავიგო, ვერ საუბრობს, ექიმიც დისტანციით ესაუბრება, რა თქმა უნდა, არა ყველა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეა. კლინიკაც კი, ჩვენთვის ოცნება ხდება. ერთადერთი საავადმყოფო თემქის დასახლებაშია, სადაც გაბრიელს კარგად იღებენ და აბსოლუტურად ვერ ვგრძნობ, რომ ჩემს შვილს განსხვავებული მდგომარეობა აქვს.

პრობლემები მართლა ბევრია... ხშირად მონასტერშიც მიმყავს, როცა შვებას ვეღარსად ვპოულობ... გაბრიელს ორი ძმა ჰყავს, რომლებიც ძალიან უყვარს. მისი გამორჩეული მეგობარი კი გამზრდელი დეიდაა, მე ვმუშაობ და უმეტეს დროს მასთან ატარებს. გაბრიელი მის გარეშე ვერ ცოცხლობს.

ზოგადად, ძალიან პოზიტიური და მოსიყვარულე ადამიანია, ბევრ სიყვარულს გასცემს, ოღონდ მაშინ, როცა ეს თავად სურს.

სამოდელო გაკვეთილი

ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები

ნოფალ ალიევი
სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აკაურთის საჯარო სკოლის დირექტორი, მათემატიკის მასწავლებელი

გაკვეთილის გეგმა

საგანი: მათემატიკა
მასწავლებლის სახელი, გვარი: ნოფალ ალიევი
კლასი: V
მოსწავლეთა რაოდენობა: 8
გაკვეთილის თემა: ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები
გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი
გაკვეთილის ტიპი: სტანდარტული გაკვეთილი შიდასაგაკვეთილო შეფასებისათვის
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს, მათ თვისებებს; შეძლებენ გეომეტრიული ფიგურების ამოცნობას, სიბრტყეზე დახაზვას და ბრტყელი ფიგურების აღწერას. მაგალითად: მართკუთხედი, კვადრატი, რომბი, პარალელოგრამი, სხვადასხვაგვარი სამკუთხედები (მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლგვერდა, ტოლფერდა).
მათ.V.7. მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა და გამოსახვა.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	**გამოწვევა:** **შესავალი** **აქტივობა №1** მასწავლებელი აწესრიგებს კლასს, აცნობს გაკვეთილის მიზანსა და შეფასების კრიტერიუმებს. **აქტივობა №2** **მიზანი:** წინარე ცოდნის გააქტიურება და ინტერესის აღძვრა **მასწავლებელი**, გაკვეთილის დასაწყისში, დაფაზე ხაზავს ასოციაციურ რუკას „გეომეტრიული ფიგურები“ და ეკითხება მოსწავლეებს, რომელი გეომეტრიული ფიგურა ახსოვთ. მოსწავლეთა პასუხებით ავსებს ასოციაციურ რუკას. **მოსწავლეები** იხსენებენ და მასწავლებელს კარნახობენ ფიგურების სახელწოდებას.	ასოციაციური რუკა	მუშაობა მთელ კლასთან	ფლიპჩარტის დაფა, ქაღალდი, მარკერი	3წთ
	აქტივობა №3 **მასწავლებელი** ავალებს მოსწავლეებს, სურათებზე მოძებნონ დასახელებული ფიგურების მსგავსი საგნები; დაასახელონ და დაითვალონ გვერდები. **მოსწავლეები**, მასწავლებლის დახმარებით, სურათებზე და საკლასო ოთახში მოძებნიან დასახელებული ფიგურების მსგავს საგნებს (მაგ., დაფა, მაგიდა...). ინდივიდუალურად, რიგრიგობით, ამოიცნობენ და ასახელებენ ცალკეულ ფიგურას, ითვლიან გვერდებს.	თვალსაჩინოებით სწავლება	ინდივიდუალური	საკლასო ნივთები (დაფა, მაგიდა...) სურათები	5წთ
	პრეზენტაცია.				
2	**აქტივობა №4** **მასწავლებელი**, პროექტორის გამოყენებით, აჩვენებს და უხსნის ფიგურის თვისებებს; ჩამოთვლილი ფიგურებიდან განიხილავს კვადრატს. თვალსაჩინო მაგალითებით მოსწავლეები დაინახავენ, რომ კვადრატი რომბის კერძო შემთხვევაა. განიხილავს მართკუთხედს, აქ მართკუთხედი გარდაიქმნება პარალელოგრამად. განხილულ ფიგურებს ადარებს ერთმანეთს და, მოსწავლეების დახმარებით, ადგენს რა საერთო და რა განსხვავება არსებობს მათ შორის; ახდენს კუთხეების და სამკუთხედების კლასიფიკაციას. ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კვადრატის ან პარალელოგრამის გადახრის დროს მათი მოპირდაპირე კუთხეები ყოველთვის ტოლია. დაფაზე ნახაზით თვალსაჩინოდ ზომავს და ადარებს მოპირდაპირე კუთხეებს. **მოსწავლეები** მასწავლებელს საკუთარ აზრებს აწვდიან. **აქტივობა №5**	მინი-ლექცია	მთელ კლასთან	პროექტორი, კომპიუტერი, სლაიდები, სურათები, დაფა, მარკერი	10წთ
	მასწავლებელი, გავარჯიშების მიზნით, ავალებს მოსწავლეებს, ასანთის ღერებით ააგონ კვადრატი, პარალელოგრამი, მართკუთხა სამკუთხედი, მართკუთხედი. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. აგებისას, ისინი იხსენებენ ფიგურების თვისებებს: • კვადრატის თვისება – კუთხეები 90˚-ია, მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის პარალელური და ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია; • რომბისთვის – კუთხეები განსხვავებულია 90˚-სგან, მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის პარალელური და ტოლია; • მართკუთხედის თვისება – კუთხეები 90˚-ია, მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის პარალელური და ტოლია; • პარალელოგრამისთვის – კუთხეები განსხვავებულია 90˚-სგან, მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის პარალელური და ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია. ამის სადემონსტრაციოდ იყენებენ მანძილის საზომ რულეტს (მასწავლებელი), სახაზავს (მოსწავლეები). მოსწავლეებს, მუშაობისთვის, ეძლევათ შესაბამისი დრო. მასწავლებელი, დროდადრო, ამოწმებს, როგორ მუშაობენ მოსწავლეები და, საჭიროების შემთხვევაში, ერევა. დავალებების შესრულების შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს შესრულებულ სამუშაოს და მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას.	პრაქტიკული სამუშაო (ვარჯიში)	მუშაობა წყვილებში	ასანთი, სახაზავი	10წთ
	აქტივობა №6 **მიზანი: გავარჯიშება რეფლექსიისთვის.** **მასწავლებელი** იღებს ცალკეულ ფიგურას და ეკითხება სხვადასხვა მოსწავლეს: რა არის ეს? რამდენი გვერდი აქვს? რამდენი კუთხე? რა თავისებურება ახასიათებს? რამდენიმე მოსწავლე ახასიათებს მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ფიგურას. როცა მასწავლებელი დარწმუნდება, რომ კლასის ყველა მოსწავლემ გაიგო ახალი მასალა, აძლევს ტრანსფერის დავალებას.	კითხვა-პასუხი	ინდივიდუალური	გამოჭრილი ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები	5წთ
3	**რეფლექსია** **მასწავლებელი** მოსწავლეებს აჯგუფებს სიახლოვის მიხედვით, აძლევს დავალებას, აცნობს პრეზენტაციის შეფასების სქემას და სთხოვს, აირჩიონ გეომეტრიული ფიგურა, დაახასიათონ ნიმუშის მიხედვით, წარდგენისას გაითვალისწინონ შეფასების კრიტერიუმები. **მოსწავლეები** დამოუკიდებელად მუშაობენ ჯგუფებში, მითითებების მიხედვით ამზადებენ პრეზენტაციას და წარადგენენ. ბოლოს მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, კრიტერიუმებით აფასებს ჯგუფების პრეზენტაციას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას, ზეპირი კომენტარის სახით.	წყვილებში მუშაობა	წყვილებში მუშაობა	მანძილის საზომი რულეტი, დიდი ტრანსპორტირი	10წთ 2წთ

პრეზენტაციის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
თემის გასაგებად წარმოდგენა	ბუნდოვანია და საუბრობს დაბნეულად.	აკლია ლოგიკურობა და თანმიმდევრობა.	ნაწილობრივ გასაგებია, მოითხოვს დამატებით განმარტებებს.	გასაგებია, მაგრამ ითხოვს დაზუსტებას.	წარმოდგენილი საკითხები ნათელია და დამაჯერებელი.
ხმის ტემბრი, კონტაქტი მსმენელთან	ვერ ამყარებს კონტაქტს, საუბრობს გაურკვევლად.	ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ არაეფექტურად.	იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას, მაგრამ დაბნეულია.	გრძნობს აუდიტორიის განწყობას და ამყარებს კონტაქტს.	ფლობს აუდიტორიას და კარგად იყენებს კომუნიკაციის ხერხებს.
მიაღწია მიზანს	მიზანს ვერ მიაღწია.	მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა იყო მცდელობა.	მიზანს ნაწილობრივ მიაღწია.	თითქმის მიაღწია მიზანს.	სრულყოფილად მიაღწია მიზანს.
პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე	უჭირს პასუხების გაცემა.	პასუხები არ არის გამართული.	ნაწილობრივ პასუხობს კითხვებს.	პასუხობს კითხვებს, თუმცა დამაჯერებლობა აკლია.	სრულყოფილ და დამაჯერებელ პასუხს სცემს ყველა კითხვას.

სამოდელო გაკვეთილი

ნაადრევი ქორწინების შედეგად გამოწვეული პრობლემები

მასწავლებლის სახელი გვარი: ნანა კომლაძე
საგანი: ბიოლოგია
გაკვეთილის თემა: ნაადრევი ქორწინების შემაშფოთებელი სტატისტიკა საქართველოში და ამის შედეგად გამოწვეული პრობლემები მოზარდებში.
გაკვეთილის მოკლევადიანი მიზანი: მოსწავლეები
- გაეცნობიან ნაადრევი ქორწინების სტატისტიკურ მონაცემებსა და ზოგად ინფორმაციას;
- მოახდენენ ნაადრევი ქორწინებით გამოწვეული პრობლემების მიზეზების კვლევას;
- მოახდენენ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის აღრიცხვასა და წარმოდგენას;
- გააანალიზებენ შედეგებს;
- არგუმენტირებულად მსჯელობენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე;
- ასახელებენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს.

გაკვეთილის გრძელვადიანი მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ ნაადრევი ქორწინების არასასურველ შედეგებსა და, ჯანსაღი ანალიზის საფუძველზე, შეძლებენ მსგავსი პრობლემის თავიდან აცილებას.
წინარე ცოდნა: მოსწავლეები გაიხსენებენ ადამიანის რეპროდუქციული სისტემის აგებულებას, ორსულობის მიმდინარეობას.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	**A ფაზა. მასწავლებელი** ჯერ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს, მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, ჯგუფური მუშაობის წესებსა და შეფასების რუბრიკებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კედელზეა გამოკრული, გასასვლელი ბილეთი და ურთიერთშეფასების რუბრიკები ბავშვებს ჯგუფებში აქვთ დარიგებული.	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი	მასწავლებელი, მოსწავლეები, სქემები	3წთ
2	**მასწავლებელი**, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, იყენებს ისეთ საკითხებზე ფოკუსირებულ კითხვებს და სლაიდებს, რომელიც ადამიანის რეპროდუქციული სისტემის აგებულებას და ორსულობას ეხება. **მოსწავლეები** ქმნიან ასოციაციურ რუკას სიტყვა „ქორწინებასთან“ დაკავშირებით. ჩამოწერენ ყველა იმ სიტყვას, რომელიც ასოციაციურ კავშირშია ქორწინებასთან.	მეთოდი სლაიდების გამოყენებით ასოციაციური რუკა	მთელი კლასი	ფორმატი, მარკერი,. კომპიუტერი, პროექტორი	2წთ
3	**მასწავლებელი** მოსწავლეებს უსვამს კითხვას, რა აზრის არიან ნაადრევი ქორწინების შედეგად გამოწვეულ არასასურველ შედეგებზე. **მოსწავლეები** გამოთქვამენ ვარაუდებს და ავსებენ ვარაუდების სქემას. მასწავლებელი აჩვენებს ვიდეორგოლს, რომელიც მოზარდის სოციალური, ფსიქოლოგიური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის არასასურველ შედეგებს უკავშირდება.	გონებრივი იერიში, ვიდეორგოლის ჩვენება	მთელი კლასი	ფორმატი, მარკერი, ვარაუდების სქემა, კომპიუტერი, პროექტორი	3წთ
4	**მოსწავლეთა ჯგუფები** იწყებენ ნაადრევი ქორწინების უარყოფითი შედეგების პრეზენტაციას (მასწავლებელმა თითოეულ ჯგუფს წინასწარ დაავალა ნაადრევი ქორწინების რომელ უარყოფით შედეგზე მოემზადებინათ პრეზენტაცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ზნეობრივ, სოციალურ თუ კანონიერ ჭრილში). მოსწავლეებმა გამოიყენეს მოძიებული ინფორმაცია, ილუსტრაციები, სქემები და შეაჯამეს უარყოფითი შედეგები.	დემონსტრირების მეთოდი და ანალიზის მეთოდი	ჯგუფური მუშაობა	სურათების, სქემების გამოყენება	15წთ
5	**მასწავლებელი** ჯგუფებს ურიგებს რეალური ცხოვრებიდან აღებულ სხვადასხვა სიტუაციურ ამოცანებს. მათი გაანალიზებით, **მოსწავლეები** იკვლევენ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, არგუმენტირებულად მსჯელობენ პრობლემის გადაჭრის გზებზე. მიზეზებსა და პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს აღრიცხავენ სპეციალურ კოგნიტურ სქემაზე (ფურცლების გამოყენებით).	ანალიზის მეთოდი	ჯგუფური	სპეციალური სამუშაო ფურცელი (კითხვარი), კოგნიტური სქემა	10წთ
6	**გაკვეთილის შეჯამების მიზნით,** მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფერად ფურცლებს, რომლებზეც აღნიშნულია ნაადრევი ქორწინების შედეგები და მიზეზები. კლასის ყველა მოსწავლე, ჯგუფების მიხედვით, მონაწილეობს პრობლემების ხის შევსებაში (პრობლემების ხე მოსწავლეებმა წინასწარ შექმნეს, სამი ფორმატის ფურცლისგან. დახატეს მასზე ხის ფორმა, ფერად ფურცლებზე დაწერილ მიზეზებსა და შედეგებს ნაყოფისა და ფოთლის ფორმა ჰქონდა. მიზეზები მოსწავლეებმა ხის ფესვებთან გააკრეს, შედეგები კი, ნაყოფის მსგავსად – ხის ფოთლოვან ვარჯზე). აქტივობის დასასრულს მოსწავლეები გამოთქმულ ვარაუდებს ადარებენ შეჯამების შედეგებს, მსჯელობენ არგუმენტირებულად, გამოაქვთ ლოგიკური დასკვნები.	სინთეზის მეთოდი	ჯგუფური	წებო, პრობლემის ხის მოდელი, ვარაუდების სქემა	4წთ
7	**მასწავლებელი** იძლევა განმსაზღვრელ ჯგუფურ შეფასებას, მოსწავლეთა ჯგუფებს აფასებს წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკით, მოსწავლეებთან ერთად ითვლის ქულებს. **მოსწავლეები**, თვითშეფასებისთვის, ავსებენ გასასვლელ ბილეთებს. ჯგუფის შიგნით მიმდინარეობს სახალისო ურთიერთშეფასება.	ვერბალური მეთოდი	ჯგუფები, მთელი კლასი	ჯგუფური შეფასების რუბრიკა, სახალისო ურთიერთშეფასების რუბრიკა, გასასვლელი ბილეთი	4წთ
8	**მასწავლებელი** მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას ბიოლოგიის სახელმძღვანელოში – გვ.99, სავარჯიშო 1	ვერბალური მეთოდი	მთელი კლასი	ბიოლოგიის სახელმძღვანელო	1წთ

გაკვეთილის გოლოს მისაღწევი შედეგები:
ბიოლ.VIII.8. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ადამიანის გამრავლების სისტემის თავისებურებები და ჩანასახის განვითარების სტადიები. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- მოიპოვებს ინფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, აკეთებს პრეზენტაციას (ნაადრევი ქორწინების მიზეზების, შედეგების და ალტერნატიული გზების შევსება „პრობლემების ხის“ საშუალებით).

ბიოლ.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს კვლევის საგანი და ეტაპები. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
1. აყალიბებს კვლევის მიზანს (ნაადრევი ქორწინების მიზეზების კვლევა);
2. გამოთქვამს მოსაზრებას/ვარაუდს.

ბიოლ.VIII.2. მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცედურის განხორციელება/მონაცემების აღრიცხვა
- იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებებს მონაცემების სათანადო სიზუსტით გადმოსაცემად (კითხვარი).

ბიოლ.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- იყენებს სხვადასხვა ხერხს (დიაგრამებს, ცხრილებს, გრაფიკებს, სიებს) მონაცემთა წარმოსადგენად (აგებს პრობლემების ხეს).

ბიოლ.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- აანალიზებს მონაცემებს და გამოიტანს დასკვნებს;
- ადარებს დასკვნებს გამოთქმულ ვარაუდს.

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
პრობლემის შედეგების ანალიზი	უჭირთ ანალიზის გაკეთება.	ნაწილობრივ აკეთებენ ანალიზს.	პრობლემის ანალიზი სრულყოფილია.
პრობლემის მიზეზების განსაზღვრა	უჭირთ პრობლემის მიზეზის განსაზღვრა.	ნაწილობრივ განსაზღვრავენ პრობლემის მიზეზს.	შეუძლიათ პრობლემის მიზეზის სიღრმისეული განსაზღვრა.
პრობლემის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე არგუმენტირებული მსჯელობა	მსჯელობენ, მაგრამ არგუმენტები არადამაჯერებელია.	მსჯელობენ არასრულყოფილი და ნაწილობრივი არგუმენტაციით.	მსჯელობენ სრულყოფილი არგუმენტაციით.
მსჯელობის ადეკვატური დასკვნის გაკეთება	უჭირთ მსჯელობიდან ადეკვატური დასკვნის გამოტანა.	მსჯელობიდან გამოაქვთ არასრულყოფილი დასკვნა.	მსჯელობიდან ზუსტად გამოაქვთ ადეკვატური და სრულყოფილი დასკვნა.
პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება	უჭირთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება.	ნაწილობრივ შეუძლიათ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება.	დამაჯერებლად შეუძლიათ პრობლემის გადაჭრის გამართლებული ალტერნატიული ვარიანტის გადმოცემა.
ინფორმაციის აღრიცხვა და წარმოდგენა	უჭირთ ინფორმაციის აღრიცხვა და წარმოდგება.	ნაწილობრივ აღრიცხავენ და წარმოადგენენ ინფორმაციას.	სრულყოფილად აღრიცხავენ და წარმოადგენენ ინფორმაციას.

გასასვლელი ბილეთი

1. ჩემთვის სიახლეს წარმოადგენდა.....
2. ჩემთვის ბუნდოვანი დარჩა.....
3. ჩემთვის საინტერესო იქნება შემდეგ საკითხზე მეტი ინფორმაციის გაგება.....

რეფლექსია

ჩემი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენდ ისეთი პრობლემაზე ორიენტირებული თემის არჩევა, რომელიც სიმწვავითა და აქტუალობით იქნებოდა გამორჩეული. ასეთი კი ნამდვილად არის ნაადრევი ქორწინება. გაკვეთილი დაფუძნებული იყო: წინარე ცოდნის გააქტიურებაზე, მონაცემების შეგროვებაზე, აღრიცხვასა და ანალიზზე, არგუმენტირებულ მსჯელობაზე. სტრატეგიები, კლასის ორგანიზების ფორმები შესაბამისობაში მქონდა, რამაც ხელი შემიწყო მიზნის მიღწევაში, მოსწავლეებთან ერთად გადამედგა ნაბიჯი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგის მისაღებად. გაკვეთილის მიზანი ესგ-ს მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარეობდა და სწორედ მათთან თანხვედრაში შევქმენი შეფასების რუბრიკის კომპონენტები, რომელიც გაკვეთილის ყველაზე ძლიერ მხარედ მიმაჩნია.

გამოწვევის ფაზაზე, მოსწავლეებისთვის მოტივაციის შექმნისა და ცოდნის გასააქტიურებლად, წინარე ცოდნის გათვალისწინებით, გამოვიყენე გონებრივი იერიში ასოციაციურ რუკაზე დაყრდნობით. მოცემულ დავალებას მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი. გაიაზრეს გაკვეთილის თემის ძირითადი საკითხები, გააქტიურდნენ.

მოსწავლეებსა და ჩემ შორის, გაკვეთილის დასაწყისშივე, თანამშრომლობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული კეთილგანწყობილი ურთიერთობა იგრძნობოდა. მოსწავლეებმა ჯგუფურად იმუშავეს პრობლემის შედეგების კვლევაზე, პრეზენტაცია წარმოადგინეს ილუსტრაციებით, სქემების სახით და გააანალიზეს. ასევე, წარმატებულად იმუშავეს სიტუაციურ ამოცანებზე, შეძლეს პრობლემის მიზეზების ამოცნობა და გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახელება. ჯგუფის ყველა წევრი აქტიურად იყო ჩართული ინფორმაციის წარმოდგენასა და პრეზანტაციაში. ყველა მოსწავლის აქტივობა და ჩართულობა თანაბარი იყო.

მათ შექმნეს პრობლემის ხის მოდელი. თითოეულ მოსწავლეს ფერად ფურცელზე ჰქონდა დაწერილი პრობლემის მიზეზი და შედეგი. მიზეზები ფესვებთან გააკრეს, ხოლო შედეგები – ხის მწვანე ვარჯზე, რითაც შედეგებისა და მიზეზების კლასიფიცირება მოახდინეს, ასევე, მისი ასოცირება ხესთან (ფესვი – მიზეზი, ნაყოფი – შედეგი). რაც შეეხება შეფასებას, გამოყენებული მქონდა სპეციალურად გაკვეთილისთვის შექმნილი ჯგუფური შეფასების რუბრიკა, ქულების განმსაზღვრელი ფორმულით, სახალისო ურთიერთშეფასების რუბრიკა ჯგუფის ყველა წევრისთვის და თვითშეფასების რუბრიკა, ანუ გასასვლელი ბილეთი ყველა მოსწავლისთვის. შეფასებამ წარმატებულად ჩაიარა.

კლასის მართვის მხრივ პრობლემები არ ყოფილა, თუმცა ერთი-ორჯერ მაინც მომიწია შენიშვნის მიცემა, რომელიც მოსმენის კულტურას ეხებოდა. სასწავლო დრო ფუჭად არ გამოგვიყენებია. მიზნობრივად გამოვიყენე სასწავლო რესურსი – სლაიდები, სქემები, გამოსაძახებელი ჩხირები, გასასვლელი ბილეთები. რესურსი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, ხოლო ფიზიკური გარემო შეესაბამებოდა აქტივობებით გათვალისწინებულ ორგანიზების ფორმებს. ჩემი მითითებები თუ განმარტებები საკმაოდ სწორად და მარტივად იყო მიწოდებული, კითხვები თანმიმდევრული იყო და გაკვეთილის მიზნის მიღწევას ემსახურებოდა. სხვადასხვა მეთოდებმა და მრავალფეროვანმა რესურსმა ხელი შეუწყო განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვას, ანალიზს, მოსწავლეთა ჩართულობასა და გააქტიურებას.

აქვე აღვნიშნავ, რომ გაკვეთილზე მხედველობიდან გამომრჩა ვიდეორგოლი, რომელიც მოსწავლეებისთვის საინტერესო რესურსი იქნებოდა, მაგრამ სამომავლოდ უფრო მეტად კონცენტრირებული ვიქნები როგორც გაკვეთილის მსვლელობის დროს აქტივობების თანმიმდევრობასა და დროის ლიმიტის უფრო მიზანმიმართულ გამოყენებაზე, ასევე მოსწავლეებს მივუთითებ მოსმენის კულტურის გამომუშავებაზე.

მიმაჩნია, რომ სწორად დაგეგმილი გაკვეთილით შევძელი დასახულ შედეგზე გასვლა, რაც სამომავლოდ უფრო საინტერესო და ეფექტიანი გაკვეთილის დაგეგმვაში დამეხმარება.

ნანა კომლაძე
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭორვილის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

გამოფენა

ნეგატივებზე შემონახული ჟანდარმერიის ფოტოკოლექცია

12 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების გამოფენა „ჟანდარმერია კავკასიაში“ გაიხსნა. საგამოფენო სივრცეში 1839-1917 წლები უნიკალური ექსპოზიციით გაცოცხლდა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ მასალას ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიების ლიდერების და საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების შესახებ. ქართველი დამთვალიერებელი პირველად გაეცნობა იმ ადამიანთა ჟანდარმერიის ბარათებს, რომლებსაც მეფის რუსეთის დროს, თბილისში, 1820-იან წლებში შექმნილი საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია – ჟანდარმერია სხვადასხვა მეთოდებით უთვალთვალებდა და აკონტროლებდა. მის მიზანს სახელმწიფო და პოლიტიკური დანაშაულების გამოვლენა და მასთან ბრძოლა წარმოადგენდა. ჟანდარმები, ისევე როგორც მათი მოწინააღმდეგეები, ძირითადად, შეიარაღებულები იყვნენ კარაბინით, ასევე მაუზერებისა და ნაგანის ტიპის რევოლვერებით.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოში, ჟანდარმთა ორი საგუბერნიო სამმართველო არსებობდა – თბილისისა და ქუთაისის. 1907 წლის ბოლომდე თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო მხოლოდ პოლიტიკური დანაშაულის მოკვლევასა და გამოვლენილი დანაშაულის ძიებას ეწეოდა. ე. წ. „პოლიტიკური ძებნა“, ანუ პოლიტიკური დანაშაულის მომზადების აღმოჩენა, „საიდუმლო თანამშრომლების“ – „შინაგანი აგენტურისა“ და „მეთვალყურე აგენტების – ფილერების“ მეშვეობით, მოქცეული იყო საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის სპეციალური ორგანოს – „ოხრანკის“ განყოფილების ხელში.

1907 წლის 24 დეკემბერს შეიქმნა კავკასიის რაიონული „ოხრანკის“ განყოფილება. თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი რაიონული „ოხრანკის“ განყოფილების უფროსად დაინიშნა. პოლიტიკური ძიების ადგილობრივი ორგანო – თბილისის „ოხრანკის“ განყოფილება თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსს დაემორჩილა. კავკასიის რაიონული „ოხრანკის“ განყოფილების შექმნით პოლიტიკური ძებნისა და ძიების ორგანოები გაერთიანდა და, გარკვეულწილად, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ხელში გადავიდა „საიდუმლო თანამშრომლების – შინაგანი აგენტურის“ ხელმძღვანელობა და მართვა.

1890 წელს მეფის რუსეთის იმპერიაში, საერთო და პოლიტიკური პოლიციის საჭიროებისთვის, ეჭვმიტანილთა და დამნაშავეთა აღსაწერად, ალფონს ბერტილიონის მიერ შექმნილი ანთროპომეტრია შემოიღეს. ამავდროულად, პოლიციის დეპარტამენტში ანთროპომეტრული განყოფილება შეიქმნა. ბერტილიონის მიერ შემუშავებული პიროვნების ვინაობის დასადგენი სპეციალური შაბლონი, 1903 წელს, ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს დაეგზავნა. ამ დროიდან, სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით, იზომებოდა და ფიქსირდებოდა ადამიანის სიმაღლე, მჯდომარე და მდგომარე პოზაში, თავის ქალის სიგრძე, სიგანე, თმის ფერი, მარცხენა ხელის საშუალო თითის და ნეკის სიგრძე, მარცხენა თვალის ფერი და ა.შ.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს, დამნაშავეთა რიცხვის სწრაფი ზრდის პარალელურად, ძალოვან სტრუქტურებში ფართოდ დაინერგა დაქტილოსკოპია – თითების ანაბეჭდის აღება. ეჭვმიტანილებსა და დამნაშავეებს ფოტოებსაც უღებდნენ.

ფოტოსურათები – პროფილის, ანფასისა და სრული აღნაგობის – სპეციალურ ბარათებს ეკვრებოდა. ბლანკის ორივე მხარეს ივსებოდა სრული დეტალები: პიროვნების გვარი, სახელი, თმის ფერი, წვერისა და ულვაშის სიგრძე, ყურის მოყვანილობა, სიარულის მანერა, განსაკუთრებული ნიშნები და სხვ. სწორედ ასეთი ბარათების ერთობლიობა წარმოადგენდა ჟანდარმერიის „კარტოთეკას“.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია როგორც ორიგინალი დოკუმენტები, ისე ფოტოასლები თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს ფონდიდან, რომელიც 1839-1917 წლებში ამ ორგანიზაციაში შექმნილ წერილობით დოკუმენტებს, მეთვალყურეობის მასალას, საიდუმლო კორესპონდენციას და სხვა საინტერესო ფაქტებს აერთიანებს: დაპატიმრებული გამოცემები და პროკლამაციები, XIX საუკუნის ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში; მეტეხის ციხის მეორე სართულის გეგმა; „ტერორისტების მეთაურის, ცნობილი ყაჩაღის“, ხარება ჯიბუტის (მეტსახელად – ლეკი) ფოტო, სავარაუდოდ, 1911 წელს გადაღებული; კახეთში მოქმედი ცნობილი „წითელრაზმელების“ – ალექსანდრე სუხიტაშვილის (მეტსახელად „პეტუშოკი“), ხარება ჯიბუტის, გოგია კენკიშვილის ფოტო, სავარაუდოდ, 1907 წელს გადაღებული; ჟანდარმერიის ოფიცრები XX საუკუნის დასაწყისში; რუსეთიდან საზღვარგარეთ გადასახლებულთა სია, რომელთაც სამუდამოდ აეკრძალათ ქვეყანაში დაბრუნება – 1891 წელი; 1910 წლის სექტემბერში დაკავებული დაშნაკცუცუნის პარტიის 12 წევრი, თორმეტივე ადამიანი მომცრო აგებულების აღმოჩნდა. მათ შორის ყველაზე დაბალი 114 სმ იყო, ხოლო ყველაზე მაღალი – 126 სმ; სტეფანია პეტროვსკაიას (იოსებ ჯუღაშვილის მეგობარი ქალი) ფოტო, რომელიც 1910 წლის 23 მარტს ბაქოში დააკავეს, ბარათი შევსებულია 30 მარტს (სხვა მონაცემების მიხედვით, ამავე დღეს და ამავე ადგილას დააკავეს იოსებ ჯუღაშვილიც); გორის სამაზრო სამმართველოს წიგნი, დამნაშავეების ფოტოკარტოთეკის ალბომი – 1906-1911 წლები; ციხის ჟურნალი – 1913 წელი და მრავალი სხვა.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან დამთვალიერებლის ყურადღებას უდავოდ მიიქცევს ანონიმური წერილები და განცხადებები სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობებზე (1912 წელი). ამონარიდს გთავაზობთ უცვლელად: *„ვთვლით რომ ეს კაცები დაიჭიროთ და გამოიძიოთ რა ხალხი არიან მოსე შენგელია და მისი ძმა ვანო შენგელია. მოსე არის ექვსი წელიწადი იმალება. ემალება (მ)თ(ა)ვრობას. ინახავს პრ მეწ კანდელაკი და მის ძმა ვანოსაც არ აქ აქ ცხოვრების ნება ქთხომ დეიჭიროთ და გამოიძიოთ რა კაცები არიან. იმათი ადრესი მალაკანსკი ულიცა. ნომერი 25 პრ მეწ კანდელაკი“.*

ასევე სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადება გლეხებისა და მოქალაქეების საყურადღებოდ: *„...დონის პარტიულ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა ბოევიკმა, მათ შორის გოგიამ და ლეკმა (გოგია კენკიაშვილი და ხარება ჯიბუტი) იარაღი აიყარეს“.* 1908 წელი.

ტერორისტული დაჯგუფება „ჭექა-ქუხილის“ წევრების მუქარით სავსე ანონიმური წერილი ვინმე ისაკა ნარეკლიშვილისთვის გაგზავნილი: *„ისაკ ნარეკლიშვილს მ.ს! ახლად დაარსებულმა თბილისის ექსპროპრიატორ-ტერორისტების ჯგუფმა საჭიროდ დაინახა და ორასი თუმანი შემოგაწერათ, რომელიც თქვენ უნდა დაუყოვნებლივ ამ მოკლე ხანში გადაიხადოთ. ამასთანავე ჩვენი ჯგუფი წინადადებას გაძლევთ, თუ ვინიცობაა ან პოლიციას მიმართეთ, ან ფულს არ გადაიხდით, მაშინ იძულებული ვიქნებით სისხლი ვიძიოთ და სიცოცხლეს გამოგასალმოთ – თბილისის ექსპროპრიატორების ჯგუფი“. ასევე: „ისაკო ნარეკლიშვილო! თუმცა მართალია გაიპარე და ამით გგონია სიკვდილს ასცდი, მაგრამ ვერსად წაგვიხვალ. თუ ჩვენს გადაწყვეტილებას არ შეგვისრულებ და შენზე შემოწერილ ფულს არ გადაიხდი თორმეტ დღის განმავლობაში, მაშინ ჩვენ შენს წინაშე სასტიკ ზომებს მივიღებთ და ცოლშვილთან ამოგხოცავთ, მაშ ასე: დაეჩქარე ფული გადაიხადო და ამით აიცდინე შენი ი(უ)ბედურება – ექსპ ტერორისტების ჯგუფი, საკუთარი სტამბა, ტფილისი.“*

გამოფენაზე წარმოდგენილია პატიმრების, 1904-1917 წლებში შედგენილი, ჟანდარმერიის ბარათები. ფოტოებთან ერთად, ბარათებმა შემოგვინახა დაკავებულების თითის ანაბეჭდები, პირადი ინფორმაცია, ფიზიკური აღწერილობა და ინფორმაცია ბრალდების შესახებ. პატიმრებს შორის არიან ქართველი საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები, რომელთაც, თავიანი საქმიანობის გამო, ჟანდარმერიასთან პრობლემები ექმნებოდათ. აქ ნახავთ მიხეილ ჯავახიშვილის, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, რაჟდენ არსენიძის, ანა სოლოღაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილისა და სხვა ცნობილი ადამიანების ფოტოებსა და ჟანდარმერიის ბარათებს. ინა კორენევას (ნოე ჟორდანიას მეუღლე) ჟანდარმერიის ბარათი მხოლოდ ნაწილობრივ არის შევსებული, ჟანდარმერიის კარტოთეკაში დაცულია ნოე ჟორდანიას ორი ბარათი: პირველი ბარათი შევსებულია 1908 წლის 12 სექტემბერს, ხოლო მეორე – 1910 წლის 14 დეკემბერს. აქვეა ავტოკეფალისტების, „ხარებასა“ და „გოგიას“ შეიარაღებული დაჯგუფების, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე პირების: ილიკო იმერლიშვილის, ივანე ინაშვილის, ფილიპე ფშავლიშვილის (აფციაური), ალექსანდრე (სანდრო) ოზიების ფოტოები.



ანონიმური წერილები და განაცხადები სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობებზე. 1912 წელი

საქართველოს იუსტიციის ეროვნულ არქივში ასეთი 5413 ბარათი ინახება. ჟანდარმერიის ფოტოკოლექცია, ძირითადად, მინის ნეგატივებზეა შემონახული და მოიცავს, 1904-1917 წლებში, თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ დაპატიმრებული ადამიანების 5000-მდე ფოტოს, რომლებიც მათი დაკავებისას არის გადაღებული.

ფოტოკოლექცია და ბარათები, გარდა პირდაპირი შინაარსისა, მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მაგალითად, საუკუნის წინათ მცხოვრები ადამიანების ფიზიკურ მონაცემებზე, მათ ჩაცმულობასა და სოციალურ მდგომარეობაზე.

გამოფენაზე წარმოდგენილია ჟანდარმის, პატიმრისა და ცეცხლსასროლი იარაღების რეკვიზიტები, რომელიც ეკუთვნის ქართულ სატელევიზიო სერიალს „ტიფლისი“. ექსპოზიცია ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში 18 დეკემბრამდე გაგრძელდება.

მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

ნიკოლოზ დედაბრიშვილი. XX საუკუნის დასაწყისი

ინფორმაცია

საიუბილეო სალამო

2019 წლის 8 ნოემბერი...

დიდი სამზადისი და მღელვარება სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“...

სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები ემზადებოდნენ დაარსებიდან 25-ე წლის აღსანიშნავად. იუბილეზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: ბექა სივსივაძე და მამუკა მეჭიაური – საქართველოს პარლამენტის წევრის კობა კობალაძის წარმომადგენლობის სპეციალისტები, ზურაბ ქაშიაშვილი – გლდანის რაიონის გამგებლის მოადგილე, ანა ირემაშვილი – თბილისის საკრებულოს წევრის, გლდანის მაჟორიტარის, შალვა ობგაიძის წარმომადგენლები, გიორგი ჭიღლაძე – ავჭალა, გლდანისხევის საუბნო განყოფილების უფროსი, ევა ბაბალაშვილი – მსოფლიო ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი და „ქრიზანთემების“ ფესტივალის დედოფალი, ერნა წიფურია – ანსამბლ „გვირილას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ნინიკო ჩიხლაძე – ასოციაცია „საქართველოს ქალბატონების“ პრეზიდენტი, ტრისტან ჩიხლაძე – ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი, ქეთი ლაზარაშვილი – გამომცემლობა „მინიატურას“ დამფუძნებელი და რედაქტორი, ვაჟა დურგლიშვილი – კომპოზიტორი, გულნაზ გოლეთიანი – მომღერალი, მოსწავლეთა მშობლები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, წარჩინებული კურსდამთავრებულები, სკოლის დირექტორები და სხვ.

საიუბილეო საღამოზე სკოლის დამფუძნებელმა და დირექტორმა, ქალბატონმა ნაზი ნადირაძეს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან ეს მნიშვნელოვანი თარიღი მიულოცა თანამშრომლებს, რომლებიც მიუხედავად მრავალი ქარცეცხლიანი წლისა შეკრულ, ძლიერ და ერთიან გუნდად დარჩნენ.

დირექტორმა ისაუბრა სკოლის მიზანსა და მისიაზე; დაასახელა ის პრიორიტეტული კომპონენტები, რითაც სკოლა ამ წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა; ხაზი გაუსვა, რომ უმთავრესი მიზანი არის მოსწავლეებისთვის ფუნდამენტური ცოდნის მიცემა და მათში იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც მომავალში ცხოვრებას და კარიერულ წინსვლას გაუადვილებთ. მან, ასევე, აღნიშნა ლიცეუმის მოსწავლეთა წარმატებები სხვადასხვა სასწავლო თუ შემოქმედებით ოლიმპიადებზე.

სკოლის დირექტორმა გაიხსენა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორებიცაა სასწავლო და სოციალური პროექტები: „მეგობარო, ხელი გამომიწოდე“ – სასწავლო-შემეცნებითი პროექტი შაუმიანის №1 და №2 სკოლებში; თოქშოუ „თაობათა შორის ურთიერთობა“, „სიკეთე გადამდებია“ – ძეგვის ბავშვთა სახლში და სხვ.; მოსწავლეთა თვითშემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან – მწერლებთან, მსახიობებთან, ჟურნალისტებთან, პოეტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები და ა.შ. მსგავსმა მრავალფეროვანმა აქტივობებმა საინტერესო გახადა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრება. დირექტორმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა, განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებზე; მადლობის სიგელებით დააჯილდოვა ის პედაგოგები და მშობლები, რომლებიც მთელი ამ წლების მანძილზე იღვწოდნენ მოსწავლეთა საკეთილდღეოდ.

სკოლას იუბილე მიულოცეს წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა, ამჟამინდელმა მეთორმეტეკლასელებმა, მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. დასასრულს გაიმართა საზეიმო კონცერტი მათივე მონაწილეობით.

სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ იუბილემ სასიამოვნო გარემოში ჩაიარა; იყო ბევრი აპლოდისმენტი, მილოცვა, ყვავილები; უამრავი დადებითი ემოცია და ღიმილიანი სახე.

დარეჯან ცხომარია
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,
ლიკა ლაგვილავა
დაწყებითი კლასების მასწავლებელი,
სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“

ერთი ლამაზი დღე სკოლაში

ემოციებს ვერ ვმალავ... შეუძლებელია ჩემი განცდების ფურცელზე გადატანა.

შემატყობინეს, რომ მე და ჩემი კოლეგები, პენსიაზე გასული პედაგოგები, 2019 წლის 12 ოქტომბერს სკოლაში უნდა გამოვცხადებულიყავით. რა თქმა უნდა, ყველა სიხარულითა და გულისფანცქალით გავეშურეთ სკოლისაკენ. არ ვიცოდით რა სიურპრიზი გველოდა.

ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა: კედელზე დაგვხვდა ლამაზად გაფორმებული გაზეთები; თბილი სიტყვებით გვემშვიდობებოდნენ. ერთმა გაზეთმა წარწერით მიიქცია ჩვენი ყურადღება: „მოგზაურობა 1959-ში“, რომელთანაც იდგა იმდროინდელ სასკოლო ფორმაში გამოწყობილი მოსწავლე.

გაზეთში დიდი ასოებით იკითხება „რაჭისუბნის საჯარო სკოლა 60 წლისაა“. აქვე მოთავსებული იყო 1959 წლის ყველა მოსწავლისა და კლასის დამრიგებლების, პედაგოგიური კოლექტივისა და ტექნიკური პერსონალის, ასევე სკოლის დირექტორის, ივანე ხიდეშელისა და მისი მოადგილის, იოსებ რეხვიაშვილის ფოტოსურათები.

ღონისძიება დაიწყო ქართული ცეკვით, რომელსაც პატარა აღსაზრდელები – სალომე რეხვიაშვილი და გუგა გავაშელიშვილი, ასრულებდნენ.

განვლილი 60 წლის მოკლე მიმოხილვისთვის სიტყვა გადაეცა სკოლის დირექტორს, ქალბატონ გულნაზ რეხვიაშვილს, თუმცა გასახსენებელი ბევრი არაფერი დარჩა, ყველაფერს კედლები ამბობდნენ.

ჩვენი სკოლა 1959 წლიდან ფუნქციონირებს, – აღნიშნა ქალბატონმა გულნაზმა, – ჩვენთან სტუმრად არიან ამ სკოლის პირველი პირველკლასელები: ნაირა მეტრეველი და ქეთევან რეხვიაშვილი. სამწუხაროდ, ბევრი ცოცხალი აღარაა.

ნაირა მეტრეველი იხსენებს, თუ როგორ გაიჭრა ლენტი და I კლასის მასწავლებელმა, ნინა ჩაგელიშვილმა ისინი, ხელჩაკიდებული, პირველები შემოიყვანა სკოლაში, სადაც სულ 139 მოსწავლე, 18 პედაგოგი (დირექციასთან ერთად) და 4 ტექნიკური მუშაკი ირიცხებოდა.

სკოლის პირველი დირექტორი, 1965 წლამდე, ივანე ხიდეშელი იყო, ხოლო 1965 წლიდან 1999 წლამდე – ვალერიან რეხვიაშვილი, 1999 წლიდან 2005 წლამდე – გურამ ჩაგელიშვილი, 2005 წლიდან დღემდე – გულნაზ რეხვიაშვილი.

2018 წლიდან სკოლა ემზარ რეხვიაშვილის სახელობისაა. ემზარი ჩვენი სკოლის აღზრდილი იყო. მან გმირულად შესწირა თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას და ბევრის სიცოცხლე გადაარჩინა. იგი ირიცხებოდა დაზვერვის სამმართველოს ბატალიონში, მონაწილეობდა გაგრაში, სოხუმსა და სოფელ ცეგუროვკაში წარმოებულ ბრძოლებში. 1992 წლის 12 ოქტომბერს შეწყდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცის მაჯისცემა. ამიტომაც დავგეგმეთ ეს ღონისძიება 12 ოქტომბერს.

სკოლის დირექტორმა წუხილით აღნიშნა, რომ სკოლაში შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა (ოთხმოცამდეც არ არის), თუმცა არის წინსვლა პედაგოგთა პროფესიული განვითარების კუთხით. 15 პედაგოგიდან 12 სერტიფიცირებულია, დანარჩენებსაც მალე მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

ღონისძიება გაგრძელდა – მოსწავლეები ლექსებით, სიმღერებით და ცეკვებით ულოცავდნენ პედაგოგებს „მასწავლებლის დღეს“, მართალია მოგვიანებით, მაგრამ რაჭველებს ეპატიებათ.

შეუძლებელია მადლიერების გრძნობა არ გამოვხატო ჩვენი სკოლის დირექტორის, ქალბატონ გულნაზის მიმართ, რომელმაც სამახსოვრო საჩუქრებიც გადმოგვცა: მე – ლია რეხვიაშვილს, იზოლდა ქამუშაძეს, გურამ ჩაგელიშვილს და რამდენიმე წლის წინ პენსიაზე გასულ პედაგოგებს – ელზა გვერწითელსა და ნუნუ ჯანგიძეს. მადლობა ქალბატონო გულნაზ, დიდხანს შეგძლებოდეთ ბევრი კეთილი საქმის კეთება!

ნამდვილად აღსანიშნავია ბოლნისის მერიისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ჩვენთვის გამართული მადლიერების საღამო, რისთვისაც დიდი მადლობა მათ!

მივდივარ სკოლიდან უზომოდ მადლიერი. ჩემს სკოლას ვუსურვებ მოსწავლეთა სიმრავლეს. ჩემს კოლეგებს – დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულს, წინსვლასა და წარმატებებს, პირად თუ სასკოლო ცხოვრებაში.

ლიანა რეხვიაშვილი
პენსიაზე გასული პედაგოგი

რაჭისუბნის საჯარო სკოლის კოლექტივი რესურსცენტრის თანამშრომლებთან და სკოლის პირველ პირველკლასელებთან ერთად

გამოცდილება

მედიაწიგნიერების განვითარებისთვის

გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას და შემოგთავაზებთ სამოდელო გაკვეთილის გეგმას, რომელიც გამჭოლი კომპეტენციების, კერძოდ, მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყო დაგეგმილი. ჩემი აზრით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მეტი დრო უნდა ეთმობოდეს მედიაწიგნიერების დონის ამაღლებას. სახელმძღვანელოებში ჩადებული მასალის პარალელურად, შეგვიძლია გამოვიყენოთ ინტერნეტ თუ ბეჭდური რესურსი, რომელიც ჩვენს აღსაზრდელებს საინფორმაციო ტექსტებთან მუშაობას მიაჩვევს.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი გვარი: ნათია ზაქაშვილი
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი, III კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 25 (სსსმ მოსწავლე არ არის)
გაკვეთილის თემა: იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „როგორ დაარსდა თბილისი“
სამოდელიო გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენცია – „მედიაწიგნიერება“
გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილის მიზანია ისტორიული, ლეგენდის ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება; ტექსტში რეალური მოვლენების დაფიქსირება; შინაარსობრივ კითხვებზე პასუხის გაცემა; ტექსტის ლექსიკურად დამუშავება.
მედიაწიგნიერების მიზნები: მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.
კავშირი ესგ-სთან: ქართ.III.2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- სათაურის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო სათაურის შესახებ;
- ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- ყვება მოსმენილი ტექსტის შინაარსს.

ქართ.III.6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს.
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს.
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1.	**A ფაზა. გამოწვევა/მოლოდინების განსაზღვრა** მასწავლებელი ესალმება კლასს, აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზნებს. აცნობს მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკას, რომლის მიხედვითაც მათ შეაფასებს.	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი	მასწავლებლის მიერ ფორმატზე დაწერილი და დაფაზე გამოკრული გაკვეთილის თემა და მიზნები განმავითარებელი შეფასების რუბრიკა	2წთ
2.	**წინარე ცოდნის გააქტიურება.** მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს და ახსენებს იმ ინფორმაციას, რომელიც მათ ნასწავლი აქვთ: 1) რა ჰქვია ჩვენს სამშობლოს? 2) რომელი ქალაქია საქართველოს დედაქალაქი? 3) საიდან წარმოდგება სახელწოდება „თბილისი“? 4) ვინ დააარსა თბილისი? 5) რა არის ლეგენდა? 6) ვინ იყო და რა გსმენიათ ვახტანგ გორგასლის შესახებ?	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი		2წთ
3.	**B ფაზა. ცოდნის კონსტრუირება/შინაარსის რეალიზება** ტექსტზე მუშაობა, პაუზებით კითხვა. მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხულობენ ტექსტს, ვაანალიზებთ, უცხო სიტყვებსა და ტერმინებს ამოვწერთ და განვმარტავთ „სიტყვის რუკაზე“.	პაუზებით კითხვა, ლექსიკურ რუკაზე მუშაობა	მთელი კლასი	მე-3 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო სიტყვის რუკა	12წთ
4.	**ლეგენდის მიხედვით შექმნილი ანიმაციური ფილმის ჩვენება** – „იცოდე შენი ქვეყნის ისტორია“ – თბილისის დაარსება. *https://www.youtube.com/watch?v=-c00schqip24*	ვიდეომასალის ჩვენება	მთელი კლასი	ვიდეორესურსი *https://www.youtube.com/watch?v=c00schqip24*	2წთ
5.	**მინი-ლექცია** მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა განსხვავებაა საინფორმაციო და მხატვრულ ტექსტებს შორის, რომელია სანდო და რატომ? (მხატვრულ ტექსტში აღწერილი ამბავი, ძირითადად, მწერლის მიერ არის გამოგონილი და მისი ფანტაზიიდან გამომდინარეობს, ხოლო საინფორმაციო ტექსტში ასახული ინფორმაცია, ზოგჯერ, მეცნიერების კვლევებს ეყრდნობა, ზოგჯერ კი, ავტორი დაუსაბუთებელ ინფორმაციას აწვდის მკითხველს და ეს ინფორმაცია შეიძლება არ იყოს სანდო. მეცნიერული ინფორმაცია კი სანდოა, რადგან გამყარებულია კვლევებითა და არგუმენტებით). ასევე მასწავლებელი კიდევ ერთხელ ახსენებს მოსწავლეებს, რომ ლეგენდა ზეპირად გადმოცემული ისტორიული ამბავია და შესაძლებელია ის რეალურ ამბავს არ ასახავდეს.	მინი-ლექცია	მთელი კლასი		3წთ
6.	**მედიარესურსების გაცნობა.** მოსწავლეები დაიყოფიან ხუთკაციან ჯგუფებად. მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებში ურიგებს წინასწარ მომზადებულ, მედიაში გავრცელებული ტექსტების ადაპტირებულ ვერსიებს. მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ და ეცნობიან ტექსტს. **I და II ჯგუფი** **თბილისის დაარსება,** წყარო – ვიკიპედია. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში. უძველესი წყაროსეული მოხსენიება განეკუთვნება IV საუკუნის II ნახევარს, როცა ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსეთის მოხელის – პიტიახშის რეზიდენცია გახდა. V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და გააშენა, ამიტომ იგი მიჩნეულია ქალაქის დამაარსებლად. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, მეფე ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა), სინამდვილეში, ქალაქის აღორძინებასა და აღმშენებლობაზეა პასუხისმგებელი, მისი დაფუძნების ნაცვლად. **III, IV, V ჯგუფი** **არქეოლოგიური აღმოჩენა მეტეხის ხიდთან.** თბილისში, მეტეხის ხიდთან, ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, არქეოლოგებმა ციხე-გალავნის ფრაგმენტებს მიაკვლიეს. უნიკალური აღმოჩენა ვახტანგ გორგასლის პერიოდს მიეკუთვნება. თუმცა, დაახლოებით ორი მეტრის სიღრმეში აღმოჩენილი აუზები, სპეციალისტების თქმით, I-II საუკუნეებით თარიღდება. კვადრატული ფორმის აუზებს აქვს საფეხურები, გოგირდის წყლით შევსების და დაცლის სისტემა, აუზის ფსკერი მოზაიკითაა მორთული. დღემდე არსებული არქეოლოგიური მასალების თანახმად, პირველი დასახლებები, ქალაქის ტერიტორიაზე, ჩვ.წ.აღ-მდე IV-III ათასწლეულებში გაჩნდა. თბილისის შემდგომი შენება კი V საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით იწყება. ამ აღმოჩენამ, რომლის კვლევას საპატრიარქო და ეროვნული მუზეუმი ერთობლივად ატარებენ, შესაძლოა სრულად შეცვალოს თბილისის დაარსების ისტორია. არქეოლოგების განმარტებით, აღმოჩენა იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლება ვახტანგ გორგასლის მეფობამდე გაცილებით ადრე არსებობდა.	ჯგუფური მუშაობა			
7	**ჯგუფური მუშაობა.** მოსწავლეები, მედიარესურსების გაცნობის შემდეგ, ლეგენდისა და სინამდვილის შედარებითი ანალიზის მიზნით, ავსებენ T დიაგრამას და ჯგუფის ლიდერები იწყებენენ ნამუშევრების პრეზენტაციას (სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტისა და მედიარესურსების გამოყენებით). ლეგენდა | სინამდვილე	ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია	ჯგუფური	T დიაგრამის ფორმა	10წთ
8	**C ფაზა. ცოდნის გამთლიანება/რეფლექსია.** ახალი მასალის შეჯამება. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ კითხვებს: • როგორი იყო ის ადგილი, სადაც ახლა თბილისია? • როგორ აღმოჩნდა მეფე იმ ხევში, სადაც ცხელი წყალი მოჩუხჩუხებდა? • რატომ გადაწყვიტა მეფემ ამ ადგილას ციხე-ქალაქის აშენება? • რატომ დაარქვეს ახლად აშენებულ ქალაქს თბილისი? • რა იყო ძველად დედაქალაქი? • როდის გადმოიტანეს დედაქალაქი თბილისში?	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი		3წთ
9	**მოსწავლეთა შეფასება.** შეფასდება: ტექსტზე მუშაობა, გაკვეთილზე ჩართულობა, კითხვა-პასუხი, ჯგუფური მუშაობა, მედიაწიგნიერების კომპეტენცია.		მთელი კლასი	განმავითარებელი შეფასების რუბრიკა	2წთ
10	**საშინაო დავალება.** მოსწავლეები დაწერენ ეპიზოდის შინაარსს: „ვახტანგ გორგასლის ნადირობა“ (ნაწარმოებში მოცემული ტექსტის მიხედვით).	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი		1წთ

გამოცდილება

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:
მოსწავლეები შეძლებენ წაიკითხონ, გაიგონ და გაიაზრონ ისტორიული, ლეგენდის ტიპის ტექსტი, შეძლებენ ტექსტში რეალური მოვლენების დაფიქსირებას; შინაარსობრივ კითხვებზე პასუხის გაცემას; ტექსტის ლექსიკურად დამუშავებას. ასევე, შეძლებენ: მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირებას, ანალიზსა და განხილვას. მოსწავლეები განივითარებენ და დახვეწენ კითხვის, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, მსჯელობის, ჯგუფური მუშაობის უნარებს.

რეფლექსია

ჩემ მიერ ჩატარებული სამოდელო გაკვეთილი (იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „როგორ დაარსდა თბილისი“) პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების, კერძოდ, მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყო დაგეგმილი. სწავლების ამ საფეხურზე, მე-3 კლასში, მოსწავლეებს უკვე აქვთ შეძენილი გარკვეული ცოდნა მედიაწიგნიერებაზე. მიმაჩნია, რომ ამ უნარის განვითარებას დაწყებითი კლასებიდანვე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მოსწავლემ უნდა შეძლოს მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასება. სწორედ ამიტომ მივიჩნიე აქტუალურად ამ ტიპის გაკვეთილის ჩატარება.

ვფიქრობ, გაკვეთილი სარგებელს მოუტანს დამსწრე კოლეგებსაც. მათთვის სიახლე იყო ასეთი ტიპის გაკვეთილის ჩატარება და სურვილი გაუჩნდათ, თვითონაც დაგეგმონ მსგავსი გაკვეთილი საკუთარ პრაქტიკაში. მოსწავლეებს კი ისეთი უნარების დახვეწა-განვითარებაში დაეხმარა, როგორიცაა: კითხვის, მსჯელობის, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების.

გაკვეთილის მიზანი იყო ისტორიული, ლეგენდის ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება; ტექსტში რეალური მოვლენების დაფიქსირება; შინაარსობრივ კითხვებზე პასუხის გაცემა; ტექსტის ლექსიკურად დამუშავება. მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა. გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა განვახორციელე. ვთვლი, რომ მიზანს მივაღწიე. ამ გაკვეთილის ჩატარებამ მე თვითონაც გამოცდილება შემძინა. დავრწმუნდი, რომ მოსწავლეებს შემიძლია შევთავაზო საინტერესო, მრავალფეროვანი და ახალი აქტივობებით გამდიდრებული გაკვეთილი, რადგან ყველა აქტივობას წარმატებით გაართვეს თავი. გაკვეთილზე შემოტანილმა სიახლემ (მედიარესურსებმა) გაზარდა მათი მოტივაცია და ჩართულობა.

ამ გაკვეთილმა სასწავლო პროცესი მოსწავლეზე უფრო მეტად ორიენტირებული გახადა, რადგან მათ მივეცი საშუალება, ბოლომდე გამოევლინათ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები. თუმცა, ზოგიერთ მოსწავლეს შევატყვე, რომ გაუჭირდა მედიატექსტების გაგება და გააზრება. ამის აღმოსაფხვრელად კი, მათ უფრო ხშირად შევთავაზებ ასეთ აქტივობებს.

გაკვეთილი დავგეგმე სამფაზიანი მოდელით, ყველა დაგეგმილი აქტივობა გეგმის შესაბამისად წარიმართა, არ დამრჩენია განსახორციელებელი არც ერთი აქტივობა. განსაკუთრებით წარმატებული იყო მეორე ფაზა (ცოდნის კონსტრუირება). მოსწავლეები ძალიან დაინტერესა შეტანილმა მედიარესურსებმა და ძალიან კარგად გაართვეს თავი ჯგუფურ მუშაობას, როცა შეავსეს T დიაგრამა.

ვაპირებ, რომ მომავალში მსგავსი ტიპის გაკვეთილი ხშირად ჩავატარო, რადგან ნამდვილად დავინახე ის სარგებელი, რომელიც შეიძლება მოვუტანოთ მოსწავლეებს.

ნათია ზაქაშვილი
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის
სოფელ სავანის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მოსწავლეთა შეცდომების გამოყენება მასალის უკეთ სწავლების მიზნით

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა შეცდომებზე რეაგირება და სწავლების პროცესის კორექტირება ამ შეცდომების გათვალისწინებით. საინტერესოა, როგორ უყურებენ მოსწავლეები თავიანთ შეცდომებს, როგორ აფასებენ, რა იციან და რისი გამოსწორება სჭირდებათ. სწორედ ამიტომ შევთავაზე მათ მათემატიკის სწავლების ახლებური გააზრება, მათემატიკაში გახშირებული შეცდომები. არსებობს ასეთი ციტატა: *„მე არ მჭირდება სტერილური ჭეშმარიტება, მომაწოდე ნაყოფიერი შეცდომები რაც შეიძლება ხშირად, შეცდომები, რომლებიც მწიფდება და ნაყოფს იძლევა გამოსწორების შედეგად“.* – ვოლფრედო პარეტო.

ზოგჯერ სასარგებლოა, როდესაც მოსწავლეები არასწორ პასუხებს აწყდებიან, თუნდაც ეს არასწორი პასუხები მათი იყოს. თუ მასწავლებელი მათ შეცდომებზე ასწავლის კლასს, მოსწავლეს აღარ აქვს შიში, რომ შეცდომა დაუშვა, იცის არავინ დასცინებს, მიდის დიალოგი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, კლასში იქმნება ჯანსაღი ატმოსფერო, მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ.

ვფიქრობ, ეს სასარგებლოა არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაც, ის გეგმავს მოცემული გაკვეთილის მიზანს, შემდეგ პრინციპზე –

უნდა ვიცოდე, რომ რაღაც არ იცი და გავიგო ის, რა უნა გასწავლო

ზემოთ მოცემული ვოლფრედო პარეტოს ციტატა შევთავაზე მოსწავლეებს, მათ გაიაზრეს შინაარსი, გამოთქვეს საკუთარი ვარაუდები, რას გულისხმობს ავტორი, გაიმართა დისკუსია. აღნიშნეს, რომ ზოგიერთი შეცდომა ნაყოფიერია, შეცდომებით სწავლა განამტკიცებს საკითხის ცოდნას, რომ შეცდომები გვეხმარება უკეთ გავიაზროთ რა ვიცით და რა გვაქვს გასაუმჯობესებელი. შეცდომას თუ არ დაუშვებ, ვერ გაიგებ გამარჯვების გემოს. ასეთი ტიპის გაკვეთილმა მოსწავლეთა დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია, ეს ციტატა დამეხმარა წინარე ცოდნის გააქტიურებაში, მოსწავლეებმა სხვა მათემატიკური თემებიდანაც გაიხსენეს შეცდომები. იმსჯელეს, გააანალიზეს, დაინახეს პრობლემა და მოიფიქრეს გამოსწორებისათვის საჭირო აქტივობები, რომელსაც შესთავაზებდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ეს შეცდომები დაუშვეს. ასევე საინტერესო იყო ჩემი შეთავაზება, აერჩიათ მათთვის საინტერესო შეცდომა და განემარტათ, რით იყო შერჩეული შეცდომა მათთვის საინტერესო. წყვილებში მუშაობით ხელი შევუწყვე თანამშრომლობითი და სოციალური უნარების განვითარებას. საინტერესო იყო თითოეული წყვილის პრეზენტაცია, პრეზენტატორებმა თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს.

გამოყენებული ლიტერატურა: ტრენინგის მასალები – „აქტიური სწავლება მათემატიკაში“.

ვფიქრობ გაკვეთილი საინტერესო იქნება ჩემი კოლეგებისთვისაც. გთავაზობთ ჩემი გაკვეთილის გეგმას.

საგანი: მათმატიკა
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო/მე-9 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 12 მოსწავლე
სსსმ მოსწავლე: 0
გაკვეთილის თემა: n-ური ხარისხის ფესვი, ფესვის თვისებები (გავრცელებული შეცდომები მათემატიკაში)
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეთა შეცდომების გამოყენება n-ური ხარისხის ფესვისა და ფესვის თვისებების სწავლებისათვის
მოსწავლეებმა, თავიანთი პრაქტიკიდან, მოიყვანონ ზოგიერთი გავრცელებული შეცდომა ან მცდარი წარმოდგენა, გაიაზრონ ეს შეცდომები, გამოყონ მათგან მათთვის განსაკუთრებული შეცდომები, განმარტონ ეს შეცდომა და მოიფიქრონ აქტივობები გამოსწორებისთვის. განუვითარდებათ: მსჯელობის, ინფორმაციის დახარისხების, პრეზენტაციის, თანამშრომლობის, ურთიერთშფასების უნარ-ჩვევები.

ესგ – მათ.IX.3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა-დასაბუთების ზოგიერთი ხერხის გამოყენება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- აყალიბებს და ასაბუთებს მარტივ დებულებას რიცხვებს შორის დამოკიდებულებებზე, მათ თვისებებზე ან მათი ზემოქმედებების შედეგის შესახებ;
- შესაბამის შემთხვევაში ახდენს გამონათქვამის უარყოფას (მაგალითად, *მოჰყავს კონტრმაგალითი*); აყალიბებს საწინააღმდეგო დებულებას.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	მოსწავლეებს გავაცნობ გაკვეთილის მიზანს, შეფასების რუბრიკებს და შევახსენებ ქცევის წესებს.	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი	გაკვეთილის მიზნები და ქცევის წესები ამობეჭდილი სახით, შეფასების რუბრიკები	2წთ
2	მოსწავლეებს ვთხოვ წინა გაკვეთილის მიმოხილვას, საშინაო დავალების პასუხები, ფერად წებოვან ქაღალდებზე გამზადებული, მიაკრან კედელზე გაკრულ სპეციალურ ფორმატზე (დავალებად მიცემული ექნებათ წინა გაკვეთილებზე შესწავლილი თემის, კერძოდ: n-ური ხარისხის ფესვი და ფესვის თვისებები დავალებებში, მოსალოდნელი და დაშვებული საკუთარი შეცდომები, თუ, რა თქმა უნდა, აქვთ).	საშინაო დავალება	მთელი კლასი	წებოვანი ქაღალდები, ფორმატის ფურცელი, დაფა	2წთ
3	მერე კი, პროვოცირებისთვის, პროექტორით გავაშუქებ ციტატას: ***„მე არ მჭირდება სტერილური ჭეშმარიტება. მომაწოდე ნაყოფიერი შეცდომები, რაც შეიძლება ხშირად, შეცდომები, რომლებიც მწიფდება და ნაყოფს იძლევა გამოსწორების შედეგად“. – ვოლფრედო პარეტო.*** მოსწავლეებს ვთხოვ, გაიაზრონ: როგორ ესმით შინაარსი, რას გულისხმობს ავტორი, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. ბოლოს კი, ვთხოვ დაუკავშირონ ეს ყველაფერი მათემატიკას. ვსვამ კითხვას: არის თუ არა მათემატიკაშიც ნაყოფიერი შეცდომები?	დისკუსია, კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი	8წთ
4	ამის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ: ჩამოწერეთ ზოგიერთი გავრცელებული შეცდომა, ან მცდარი წარმოდგენა, რომელსაც ხშირად აწყდებით სასწავლო პროცესში მაგალითად: „მოსწავლეებს ხშირად გვეშლება, რომ $(a+b)^2=a^2+b^2$“, $3\sqrt{2}+5\sqrt{3}=8\sqrt{5}$ მოსწავლეები წყვილებში მოფიქრებულ შეცდომებს ჩამოწერენ თეთრ ფურცლებზე, გაიტანენ და მიამაგრებენ მაგნიტურ დაფაზე. შეუძლიათ ისარგებლონ, ასევე, დავალებად მოტანილი ნიმუშებითაც. თუ მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული შეცდომები საკმარისი არ იქნება, ამ შემთხვევაში, პროექტორით გავაშუქებ ჩემ მიერ წინასწარ მოძიებულ შეცდომებს. ორი მოსწავლე, მასწავლებლის თხოვნით, შეცდომებს ფლიფჩარტზე გადაიტანს.	გონებრივი იერიში, პრეზენტაცია	წყვილებში მუშაობა	კომპიუტერი, პროექტორი, თაბახის ფურცელი, დაფა, ცარცი, ფლიფჩარტი, მარკერები	8წთ
5	**დავალება წყვილებს** – სასურველია შეიცვალონ მეწყვილეები. 1) ჩაინიშნეთ ის შეცდომები, რომლებიც თქვენთვის იყო მნიშვნელოვანი. მინიმუმ, ორი შეცდომა. 2) დაწერეთ განმარტება და გამოსწორების გზა. მოსწავლეები ჩამოწერენ შეცდომის მიზეზებს, რა იციან და რა არ იციან, შემოგვთავაზებენ გამოსწორების გზებს, აქტივობებს, რომელთა განხორციელებითაც აღმოიფხვრება შეცდომა.	კითხვა-პასუხი, პრეზენტაცია	წყვილებში მუშაობა	დაფა, თაბახის ფურცლები	10წთ
6	ვაჯამებ და ვაფასებ წყვილების ნაშრომს, ვაძლევ უკუკავშირს და შეფასებას.	შეფასება	წყვილის ლიდერი	შეფასების რუბრიკები, ზეპირი კომენტარი	10წთ
7	ერთად ვაჯამებთ და ვაფასებთ გაკვეთილს, ვაძლევ საშინაო დავალებას – იმ შეცდომებზე დაწერონ იგივე მოთხოვნები, რომელიც მათ წინაშე იყო წარმოდგენილი და არ გარჩეულა გაკვეთილზე. ბოლოს მოსწავლეები ავსებენ გასასვლელ ბარათებს.	ვერბალური მიმოხილვა	მთელი კლასი	გასასვლელი ბარათები, დაფა, ცარცი	5წთ

ლალი აბულაძე
პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის
სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
8 ლარი



4 ლარი



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და ანალიტიკური
გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

19 ლარი

19 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

15 ლარი

ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა
კრებული მოიცავს მცირე თეორიულ მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, კერძოდ სხვადასხვა ტესტებს: გასააზრებელ ტექსტებს შეკითხვებით და სავარაუდო პასუხებით, ასევე მხატვრული ტექსტების გაგების სავარჯიშოებს, ესეს წერის დროს გასათვალისწინებელ თეორიულ მასალას და კონკრეტულ ნიმუშებს.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის



11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.